სამტრედიის მაცნე

გაზეთი გამოდის
1930 წლის
5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

№4 (9368) | 28 თებერვალი. 2022 წელი | ფასი 75 თეთრი

ახლა ყველაფერზე სანატრელი მშვიდობა გახდა!

ახლა ყველაზე უფრო მოძმე უკრაინას სჭირდება იგი!

ახლა მოქმედების დროა და არა შეშფოთება-აღშფოთების!

ჩვენი თანადგომა ბევრს ნიშნავს მათთვის, ვინც მშობლებსა და შვილებს კარგავენ, მშობლიურ სახლსა და მიწას ეცილებიან.

დღეს ერთად დგომის დროა!

დღეს ყველანი უკრაინელები ვართ იმისთვის, რომ ხვალ ვიმეგობროთ, რომ ვიქართველოთ, რომ მშვიდობის გაგვითენდეს დილა!

მესამე მსოფლიო ომი, ცივი თუ ცხელი, კარზე ცეცხლითა და მახვილით აბრახუნებს. და არა მხოლოდ ევროპა და ამერიკა, მთელი მსოფლიო მხრებით შეუდგა მისი სიმძიმის თავიდან არიდებას.

ახლა უკრაინის დროშა ფრიალებს ყველგან, უფრო სწორად, თითქმის ყველგან! და ახლა "თითქმის" იმაზე მეტს ნიშნავს, ვიდრე ოდესმე ნიშნავდა.

პოლიტიკური მიმოხილვისგან თავს შეგნებულად შევიკავებ, არა მხოლოდ დილეტანტიზმის გამო ამ სფეროში, იმიტომაც, რომ დღეს ყველგან ომია, ყველგან, გაზეთში, ტელევიზორში, რადიოში, სოციალურ მედიაში, ინტერნეტში. ბევრი ითქვა და ითქმება ექსპერტიებსგან, ჟურნალისტებისგან, პოლიტიკოსების, პრემიერებისა და პრეზიდენტებისგან, ნატოს, გაეროს და ევროკავშირისგან, პროფესიონალებისა და არაპროფესიონალებისგან. მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, ყველაზე ხმამაღლა და გულწრფელად ხალხისგან ითქვა, იმ ადამიანებისგან, ვისაც როგორ შეუძლია, ისე რომ გამოხატავს თანადგომას და მზადყოფნას, ომის ქარცეცხლს შეტოვებული უკრაინელი ხალხის დასახმარებლად.

დღეს ყველა აგრესორის შეჩერებას ცდილობს, ისევ მუჭს უდერებენ რუსულ ჩექმას და სამშობლოს დასაცავად გმირებად კვდებიან ადამიანები განურჩევლად ასაკისა.

და იბადებიან კიდეც მეტროსადგურებს შეფარებული დედების საშოდან, იბადებიან იმედად და ჩვილის ტირილით დაწყებული ბედნიერების საწყისად.

ვიცით, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქალაქში, მათ შორის საქართველოს ყველა ქალაქშიც ქართულ დროშასთან ერთად უკრაინის ორფეროვანი დროშა ფრიალებს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცისფერ-ყვითელში ანთია ზეცა და ამ ფერებს ირეკლავს მიწა.

სასურველია, პოლიტიკური კუთვნილება ახლა გვერდზე გადავწიოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში ეს პოლიტიკური კუთვნილება, ბოლო არაერთი წელია, ადამიანური მრწამსის განმსაზღვრელად იქცა! ამასობაში, სანამ "ამისტებად" და "იმისტებად" დაყოფილი ერი ერთმანეთს ბოლო და წინა 9 წლის "დაძველებით ესაუბრება", მშვიდობა სანატრელი ხდება.

და ახლა ერთად უნდა ვიდგეთ არა მხოლოდ მსოფლიოს ახალი ისტორიის დასაწერად, რომლის თავფურცლის წერა ომმა დაიწყო, ერთად მშვიდობისთვის უნდა ვიდგეთ, ამ ახალ ისტორიაში საკუთარი ადგილი რომ არ დავკარგოთ!

დღეს უკრაინას სჭირდება თანადგომა, სჭირდება მშვიდობა, რადგან ხვალ მსოფლიოს ახალი ისტორია სწორედ აქედან დაიწყება!

თეა გაგუნაშვილი

4 გვესაუბრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ქალბატონი ნათია პაპავა

5 სამოქალაქო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით

რომ არ იყოს, იმის ბრალია, ამის ბრალია ...

8 ნინო სტურუა – კემბრიჯის უნივერსიტეტის სერტიფიცირებული მასწავლებელი

6 ლიტერატურა და კონკურსი ჩემთვის უინტერესო მიქსია!

ქალთა დღესასწაულებს გილოცავთ!

200 მილიონი ლარი საპილოტე რეგიონებისთვის

ნინო ნანიტაშვილი

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრფასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი იმერეთის მეწარმეებსა და ფერმერებს შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი იყო მეწარმეებისა და ფერმერებისთვის ევროკავშირის "საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით" დაფინანსებული საგრანტო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ევროკავშირის "საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის" ფარგლებში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად, მცირე და საშუალო საწარმოების ხმარდაჭერის მიზნით, 40 მილიონი ლარი გამოეყო სამ სახელმწიფო სააგანეტოს: ააიპ "სოფლის განვითარების სააგენტოს",სსიპ "აწარმოე საქართველოში" და სსიპ "საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს". პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო სააგენტოები, თავიანთი სფეროების მიხედვით, გასცემენ გრანტებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც ოპერირებენ და რეგისტრირებულები არიან ევროკავშირის პროგრამით განსაზღვრულ 4 საპილოტე რეგიონში: იმერეთში, კახეთში, გურიასა და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთში. "სოფლის განვითარების სააგენტო" აფინანსებს ისეთი ტიპის პროექტებს,როგორებიცაა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის შეძენა, შენობა-ნაგებობების სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მხარდაჭერა, პროექტის ფარგლებში შეძენილი დანადგარებისა და აღჭურვილობის დამონტაჟებასთან დაკავშირებული სამუშაოების მხარდაჭერა. სააგენტოდან "აწარმოე საქართველოში" დაფინანსდება ტექნიკური დახმარების კომპონენტი: პროდუქტის საერთაშორისო სტანდარტებით ლიცენზირება-სერტიფიცირება, ბრენდინგი და პროდუქციის შეფუთვა, საერთაშორისო გაყიდვების სტიმულირება – საერთაშორისო სავაჭრო ქსელში შესვლის ხელშეწყობა. ასევე, საგანეტოს მიერ შესაძლებელია პროცენტის სუბსიდირების და გარანტიის მიკრო და მცირე გრანტების გაცემა; გრანტები 300-ზე მეტი ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებით მიკრო და მცირე ბიზნესის წამოწყებისათვის ან და არსებულის გადაიარაღებისათვის. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ფინანსდება ისეთი ტიპის პროექტები, როგორებიცაა მცირე გრანტების პროექტები – ინოვაციების დანერგვა, ტესტირება ან გაუმჯობესება შემდგომი კომერციალიზაციის და სხვა მიზნით; ინოვაციების საგრანტო პროექტები – ინოვაციური ანდა მაღალტექნოლოგიური ელემენტის შემცველი და კომერციალიზაციის მაღალი პოტენციალის მქონე ბიზნეს პროექტების დაფინანსება; შესაძლებლობების განვითარება რეგიონული სტარტაპ ეკოსისტემისთვის – STEAM და ICT მიმართულებების პროექტები; პრეაქსელერაციის და სტარტაპების შექმნა-ხელშეწყობის პროექტები. "საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა აძლევს ჩვენს თანამოქალაქეებს იმის საშუალებას, რომ აბსოლუტურად განსხვავებული პირობებით ისარგებლონ. სახელმწიფო სააგენტოები სფეროების მიხედვით გასცემენ გრანტებს, ეს არის საუკეთესო შეთავაზება რაც კი ყოფილა აქამდე. აღნიშნული პროგრამებით სახელმწიფოს მხრიდან, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასევე 'აწარმოე საქართველოში" და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ბენეფიციარებს შეუძლიათ მიიღონ გრანტები, ასევე სესხის სუბსიდირება და მოახერხონ სხვადასხვა მიმართულებით საკუთარი ბიზნესის განვითარება – გაფართოებას" . – განაცხადა მედიასთან კომენტარში ზვიად შალამბერიძემ.

"ეს არის ერთ-ერთი უნიკლაური პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს ბიზნესს სხვა ფინანსური პირობებით და სარგებლით გააფართოოს თავისი საქმიანობა, იმისთვის რომ ადგილზე შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილი და ის ფიზიკური ინფრასტრუქტურა, რომელსაც მუნიციპალიტეტი ჰქმნის ადგილზე საწარმოების ხელშეწყობისთვის. ასევე, შევსებული იყოს უკვე ინდივიდუალურად სხვადასხვა ბიზნესის მიერ თავისი საქმიანობის გაფართოების თვალსაზრისით. ვფიქრობთ, რომ საინტერესო პროგრამაა, რომელიც შევსებულია მათ შორის სწავლების თვალსაზრისით ბიზნესისთვის და დარწმუნებული ვარ ძალიან ბევრი აქტიური მომხმარებელი ეყოლება ამ მიმართულებით". – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში მზია გიორგობიანმა..

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა გულისხმობს მიზნობრივი ღონისძიებების დაფინანსებას საქართველოს ოთხ საპილოტე რეგიონში – კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი. პროგრამა საქართველოს მთავრობამ 2019 წლის 20 დეკემბერს დაამტკიცა და მისი წინასწარი ჯამური ბიუჯეტი 200 მილიონი ლარია. საპილოტე რეგიონების პროგრამა ევროკავშირის ექსპერტების ჩართულობით შემუშავდა და ზოგადი ხედვა ევროკავშირის რეგიონული განვითარების პოლიტიკის უახლეს მიდგომებს ეფუძნება. მოსალოდნელი შედეგები ითვალისწინებს სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ამაღლებას; მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ინოვაციების ხელშეწყობას; სიღარიბის შემცირებას და საბოლოოდ – თბილისსა და საპილოტე რეგიონებს შორის სოციალური და ეკონომიკური უთანაბრობების ეტაპობრივ აღმოფხვრას

ახლა ყველანი უკრაინელები ვართ!

თეა ბაბუნაშვილი

რომ არაფერი ვთქვათ დედაქალაქზე, სადაც თავისუფლებაზე ხმამაღლა საუბრობენ, უკრაინის მხარდამჭერი აქციები საქართველოს სხვა დიდსა თუ პატარა ქალაქში გაიმართა.

სამტრედიაში იქ, სადაც ყველა დირსშესანიშნავ თარიღს აღნიშნავენ, შინმოუსვლელის დედის ძეგლისა და გმირთა მემორიალის მიმდებარედ, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სამტრედიის ორგანიზაციის ინიციატივით, უკრაინის მხარდასაჭერი აქცია ჩატარდა, რომელსაც ორგანიზება მამუკა ბიბილეიშვილმა გაუწია.

ქართულ-უკრაინული დროშებისა და უკრაინის ჰიმნის თანხლებით დაიწყო ღონისძიება. რაც შეეხება შეკრებილების რაოდენობას, სასურველი იყო, მეტიც ყოფილიყვნენ როგოთი ადამიანები, პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად, რადგან ამგვარი აქციების მიზანი უპირველესად უკრაინელი ხალხის მხარდაჭერა გახლავთ.

მაგრამ იყო იმდენი ადამიანი, რამდენიც იყო! ყველა მათგანი საკუთარ პოზიციასა და მოსაზრებას აფიქსირებდა და ბუნებრივია, აზრი ორად არ იყოფოდა, იგი უპირობოდ ერთი გახლდათ – მშვიდობა უკრაინას და სოლიდარობა მას აგრესორთან ბრძოლაში! "უკრაინელმა ხალხმა აჩვენა საკუთარი მებრძოლი სულისკვეთება, მიუხედავად არათანაბარი ძალისა, ისინი მედგრად იცავენ საკუთარ მიწას, მშობლიურ კერას. დღეს უკრაინას სჭირდება გვერდით დგომა იმისთვის, რომ ხვალე მშვიდობიანი იყოს ჩვენი შვილებისა და მშობლებისთვის, მეგობრებისა და მეზობლებისთვის. ახლა ისე დაპატარავდა მსოფლიო, რომ ყველა ერთნი გავხდით, ყველა ერთ ტაფაში ვიწვით!" – ამგვარი გახლდათ აქციის მონაწილეების სულისკვეთება.

უკრაინის ჰიმნის შემდეგ აქციის პირველივე გამომსვლელი მამუკა ბიბილეიშვილი გახლდათ მოწოდებით: "'ახლა ჩვენ ყველანი უკრაინელები ვართ! ეს ომი არ არის მხოლოდ უკრაინაში. ამგვარი აქციებით ქართველმა ხალხმა დაანახა მთელ მსოფლიოს და პირველ რიგში უკრაინას, რომ ეს ომი ეხება ყველა ჩვენგანის ოჯახს და უკრაინის გამარჯვება არის კაცობრიობის გამარჯვება. ეს არის ახალი მსოფლიოს წესრიგის დასაწყისი!"

აქციას შეუერთდა პილიტიკური გაერთიანება "დროას" ლიდერი სამტრედიაში, იმედა გოგავა, რომელმაც აღნიშნა: "ეს ჩემი ქალაქია, ეს ჩვენ ვართ! ჩვენ სიმართლეს ვუჭერთ მხარს და ვიცით მეგობრობის ფასი! ჩვენ ვაპროტესტებთ რუსულ ბარბაროსობას და თანადგომას ვუცხადებთ მოძმე უკრაინელ ერს!"

"ეს აქცია უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად იმართება. დღეს ჩირგვში ჯდომის დრო არ არის, დღეს ყველა უკრაინის გვერდით უნდა ვიდგეთ, რადგან ეს ბრძოლა მხოლოდ ამ ერის ბრძოლა არ გახლავთ მშვიდობისა და თავისუფლებისთვის. ბედნიერი ვარ, რომ ქართულმა საზოგადოებამ მსოფლიოს დაანახა საკუთარი პოზიცია და ის, რომ ყოველთვის იქ დგას, სადაც თავისუფლებისთვის ბრძოლის ხმა უნდა ისმოდეს!" – აღნიშნა აქციაზე "ნაციონალური მოძრაობის" სამტრედიის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ემზარ შუბლაძემ.

"ნაციონალური მოძრაობის" ინიციატივით მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობაზე უკრაინის დროშა აფრიალდა.

სამუშაო თათბირი სხვადასხვა პროგრამის ჭრილში

თეა ბაბუნაშვილი

მუნიციპალიტეტის მერიაში გამართულ სამუშაო თათბირზე, პირველივე საკითხად მერმა დავით ბახტაძემ ააიპ-ების ხელმძღვანელებთან პრემიერ-მინისტრის ინიციატივაზე ისაუბრა, რომელიც სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასაქმების საკითხს ეხება. როგორც ცნობილია, სოციალურად დაუცველები დასაქმების პროგრამაში ჩაერთვებიან იმ გარანტიით, რომ ოთხი წლის განმავლობაში სოციალური დახმარება შეუნარჩუნდებათ. ამისთვის პირველ ეტაპზე საჭიროა სამუშაო ადგილების მოძიება და აკუმულირება. პროგრამა პირველი მარტიდან დაიწყება. ამიტომ, მან კონკრეტული დავალებები გასცა პრემიერის ინიცირებული ამ პროგრამის განსახორციელებლად. "გარანტირებულად შენარჩუნებული სოციალური დახმარების მიუხედავად, სოციალურად დაუცველ ადამიანებს ეძლევათ შანსი დასაქმდნენ და სამას ლარამდე შემოსავალი დაუმატონ სახელმწიფო შემწეობას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და სოციალურად დაუცველთათვის ხელსაყრელი ინიციატივაა. ამიტომ, ვალდებულებიც ვართ მის წარმატებით განხორციელებას ხელი შევუწყოთ, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ სამსახურში მუშახელის ნაკლებობას განვიცდიდით. ეს არა მხოლოდ სამეურნეო დარგის, სხვა სამსახურებსაც ეხებათ." – აღნიშნა დავით ბახტაძემ.

გარდა ამისა, თათბირზე აღინიშნა, რომ გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად ხვნა-თესვის სამუშაოებისთვის სათანადოდ უნდა მოემზადონ. მერმა ტერიტორიული მართვის ერთეულებში მერის წარმომადგენლებს მეტად მობილიზებისა და მოსახლეობისადმი დახმარებისკენ მოუწოდა. ამასთანავე, შპს. "მექანიზატორის" ხელმძღვანელობასთან დაგეგმილ შეხვედრაზეც ისაუბრა, სადაც გარკვეული საკითხებს შეეხებიან, საგაზაფხულო სამუშაოების პროცესი მუნიციპალიტეტში უფრო თადარიგიანად რომ წარიმართოს. ეს შეხვედრა საჭიროა იმიტომაც, რომ სამტრედიაში შპს "მექანიზატორის" სამუშაო ეზო გაუქმდა, ეს ფაქტორი ხელისშემშლელი არ უნდა აღმოჩნდეს ამ პროცესში.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის უკეთ განსახორციელებლად, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტს 660 ათასი ლარი გამოეყო. პრიორიტეტების განსასაზღვრად, საჭიროა საერთო კრებების ჩატარება სოფლებში, სადაც საუბარი იქნება იმ საჭიროებებზე, აღნიშნული პროგრამით რომ უნდა შესრულდეს. 2022 წლის 7 მარტიდან დაიწყება და 16 მარტი გახლავთ ბოლო ვადა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შესარჩევად. საერთო კრებები სამტრედიაში 14 ადმინისტრაციული ერთეულის 50 სოფელში გაიმართება. მცირე დასაფინანსებელი პროექტების კატეგორიები წინასწარ განსაზღვრულია. ესენია: სასმელი წყლისა და სარწყავი სისტემის მოწყობა, სანიაღვრე არხების მოწესრიგება, ნაპირსამაგრი სამუშაოები, გზები და გზისპირა მოსაცდელები, ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები, გარე განათების ქსელი, სკოლების მომდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა, სკოლამდელი დაწესებულებების შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა, ამბულატორიის შენობების რეაბილიტაცია, სასაფლაოების კეთილმოწყობა, სპორტული ინფრასტრუქტურისა და მოედნების საჭირო ინვენტარით აღჭურვა, სკვერებისა და სველი წერტილების მოწესრიგება, წისქვილებისა და მინი-ჰესების რეაბილიტაცია.

საუბარი შეეხო და საჭირო გადაწყვეტილებები მიიღეს, პრემიერის ინიცირებული კიდევ ერთი პროგრამის – "განახლებული რეგიონები", ფარგლებში თამარ მეფის ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების ირგვლივ. მერმა ხაზი გაუსვა, რომ ქალაქის იერსახის მოსაწესრიგებლად, გარე განათების ბოძებზე არსებული ინტერნეტ და ელექტროსადენების ქსელი გარკვეულ რეგულაციებს უნდა დაექვემდებაროს, გარდა ამისა, უსახური, ამორტიზებული შენობების დემონტაჟზე დაუყოვნებლივ უნდა იფიქრონ, რადგან იერსახის დამახინჯებასთან ერთად მსგავსი ნაგებობები ანტისანიტარიის ბუდე და საფრთხის შემცველია. "ამაზე მხოლოდ ცარიელი სიტყვებით კი არა, სამართლებრივი აქტით უნდა ვისაუბროთ მათ მეპატრონეებთან." – აღნიშნა დავით ბახტაძემ.

დავით ბახტაძე შეკრებილ საჯარო მოხელეებთან ხაზს უსვამდა, რომ: "ყველა ის პროგრამა, რომელზეც საუბარი გვქონდა, მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. მოსახლეობამ საერთო კრებებზე გადაწყვეტილება ისე უნდა მიიღოს, რომ მალევე იმედგაცრუებული არ დარჩეს. სიფრთხილით უნდა შეირჩეს ის ობიექტები, რომელთა მოწესრიგებაც ხელსაყრელი და აუცილებელი არის სოფლისთვის. თანხის წყალში გადაყრა არ არის გამართლებული. პრიორიტეტი მართლაც პრიორიტეტული უნდა იყოს!"

აქვე ისიც, რომ დავით ბახტაძე შესაბამის სამსახურებზე დავალების მიცემის შემდეგ თავად ადევნებს თვალს მისი შესრულების ხარისხს და მეტწილად ერთვება შესრულების პროცესში.

ოფეთი-დაფნარის გზაზე ბეტონი იქნება

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ოფეთი-დაფნარის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც რეგიონული განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში ფინანსდება და მას ტენდერში გამარჯვებული კომპანია "საგზაო" ასრულებს.

მიმდინარე სამუშაოები, ამ დღეებში, მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ბახტაძემ, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, ზურაბ გოგიასთან და სამტრედიის, წყალტუბოს, ვანისა და ხონის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელთან, ირაკლი ოჩხიკიძესთან ერთად დაათვალიერა.

დავით ბახტაძემ ჟურნალისტებთან კომენტარში სამუშაოების მიმდინარეობა შეაფასა: "სამტრედიის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება აქტიურ ფაზაში შედის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციას, ბეტონის საფარი ეწყობა ორი სოფლის ერთმანეთთან დამაკავშირებელ გზაზე, რათა ადგილობრივებმა უფრო მოკლე დროში, უსაფრთხოდ და კომფორტულად შეძლონ გადაადგილება."

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა დასწრება გაორმაგდა

ნინო ნანიტაშვილი

24 საბავშვო ბაღიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 22 ბაგა-ბაღი მუშაობს. 2 სკოლამდელ დაწესებულებაში, თანამშრომლებში დადასტურებული ინფექციის გამო, სააღმზრდელო პროცესი დროებით შეჩერებულია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში სიით 1338 აღსაზრდელი ირიცხება. 23 თებერვლის მონაცემებით კი 255 ბავშვია გამოცხადებული.

"მართალია, საბავშვო ბაღებში მოსულ აღსაზრდელთა რაოდენობა ჯერ კიდევ დაბალია, პროგრესი მაინც შესამჩნევია, თუ წინა კვირის სტატისტიკა 108 აღსაზრდელს აფიქსირებდა, მიმდინარე კვირაში ამ ციფრმა 255-ს მიაღწია. დღევანდელი რთული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მიუხედავად,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი უწყვეტ და საიმედო რეჟიმში მიმდინარეობს. თანამშრომელთა შორის დაინფიცირების 15 შემთხვევა გვაქვს დადასტურებული". – "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში განაცხადა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილემ, მარინა შენგელიამ.

გვესაუბრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ქალბატონი ნათია პაპავა

ლევან გაბეჩავა

დაიბადა 1975 წლის 27 ივნისს ქალაქ სამტრედიაში. დაამთავრა სამტრედიის მე-3 საჯარო სკოლა, შემდეგ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. პროფესიით ექიმი-რადიოლოგი.

ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.

– რატომ გადაწყვიტეთ პოლიტიკაში ჩართვა?

– საქმიანობა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დავიწყე პროფესიით, დავუბრუნდი მშობლიურ ქალაქს და ვმუშაობდი სამშობიარო სახლში ექიმ-რადიოლოგად. შემდეგ ჩემმა მეგობარმა დააფუძნა საქართველოს "წითელი ჯვრის" სამტრედიის ფილიალი, რომელსაც ვხელმძღვანელობდი დაარსებიდან დღემდე. (2016-2021 წ.). ეს სამსახური ჩემთვის იყო დიდი პასუხისმგებლობა, საამაყოა გახდე მსოფლიოში უდიდესი ჰუმანიტარული ქსელის ნაწილი, აღმოაჩინო ახალი ინტერესები და შესაძლებლობები, იყო მეტად თავდაჯერებული, შეიძინო ახალი ცოდნა და უნარები, აკეთო კეთილი და სასარგებლო საქმე, დაეხმარო განსაცდელში მყოფ ადამიანებს, წვლილი შეიტანო საზოგადოებისა და გარემოს გაძლიერებაში, გახადო სამყარო და შენი ქალაქი უკეთესი ადგილი. თუმცა პოლიტიკურ ცხოვრებაში მოსვლის გადაწყვეტილება სწრაფად არ მიმიღია. ვთვლი, რომ წილად მხვდა ბედნიერება, ჩემს თანაგუნდელებთან ერთად ვმდგარიყავი პარტია "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" გვერდით. კარგად ვიცნობდი ჩემს ქალაქში არსებულ სოციალურ პრობლემებს და გადავწყვიტე მიღებული გამოცდილებით ხელი შემეწყო სამტრედიის უკეთესი განვითარებისთვის. ამან განაპირობა დავთანხმებულიყავი შემოთავაზებას გავმხდარიყავი საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი.

– სამტრედიის სინამდვილეში პირველი ქალბატონი ხართ, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას იკავებთ, როგორ აღიქვამთ ყოველივეს?

– ჩვენ ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი რამ დავიმსახურეთ საზოგადოებისგან, ეს არის ადამიანური ემოციები და ნდობა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია და რომელიც გამომიცხადა ჩემმა ამომრჩეველმა. კიდევ ერთხელ მადლობა მათ ნდობისთვის. მოქმედებას ყოველთვის აქვს აზრი და მას აუცილებლად მივყავართ შედეგამდე. მსურს ამ რანგში ჩემი საქმიანობა იყოს შედეგებზე ორიენტირებული. დარწმუნებული ვარ ჩემს გუნდთან ერთად მაღალ შედეგებს ვაჩვენებთ, ჩვენი ქალაქის უკეთესი განვითარებისთვის. თუკი ამ ველზე ჩემი საქმიანობა ნაყოფიერი, საინტერესო იქნება, მე მზად ვარ ბოლომდე დავიხარჯო სამტრედიის უკეთესი მომავლისთვის.

– ევროპელი პარტნიორები პოლიტიკაში ქალების მეტად ჩართულობაზე საუბრობენ, თქვენი აზრით, რამდენად დააბალანსებს პოლიტიკურად ჭრელ, ხმაურიან ვითარებას სუსტი სქესის ქალბატონები?

– პოლიტიკა დღემდე რჩებოდა იმ სფეროდ, სადაც ქალები უმცირესობას წარმოადგენდნენ, თუმცა ჩვენი ხელისუფლების პირობებში უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით. მნიშვნელოვანია ქალთა ორგანიზაციების დაფუძნება ქვეყნის მასშტაბით, რაზეც უკვე მიმდინარეობს მუშაობა. "მეტი ქალი პოლიტიკაში" მომავალში უბიძგებს ქალბატონებს აქტიურად ჩაერთონ თვითმმართველობების ცხოვრებაში, ზოგადად პოლიტიკაში. ქალს სჭირდება ძლიერი ნებისყოფა და დიდი ენერგია, რომ პროფესიულ ასპარეზზე სათანადოდ რეალიზდეს.

– როგორ უთავსებთ ერთმანეთს ქალის, როგორც მეოჯახის, დიასახლისის მოვალეობას, პროფესიას და ჯერ კიდევ ახალ თანამდებობას?

– ყველა ქალი იმსახურებს საუკეთესოს, ის ყოველთვის სიხარულით სავსე და ბედნიერი უნდა იყოს. ქალის ოჯახური ცხოვრება ბედნიერი რომ იყოს, კარიერა კი წარმატებული, ეს თავად უნდა მოინდომოს. ქალი, როცა ოჯახს ქმნის ცდილობს საოჯახო საქმეები შეათავსოს თავის პროფესიასთან, ეს კი, არც ისე ადვილია. სამსახური დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. მე ბედნიერი ვარ, გამიმართლა და მყავს ისეთი დედა, რომელიც მეხმარება ყოველდღიურ საოჯახო საქმიანობაში, ის ოჯახის მთავარი დიასახლისია. ცდილობს შემიმსუბუქოს ყოფა და იზრუნოს კიდეც ჩემზე. ის ჩემი დიდი იმედია და საუკეთესოს იმსახურებს. ცნობისთვის, მეც საკმაოდ კარგი დიასახლისი გახლავართ, მიყვარს სამზარეულოში ფუსფუსი. ვამზადებ გემრიელ კერძებს. ვცდილობ ვიყო ჰარმონიაში და შევუთავსო საოჯახო საქმიანობა ახალ სამსახურს.

– გთხოვთ გვითხრათ, რამდენად საქმიანი, შემოქმედებითი, გნებავთ მეგობრულ-კოლეგიალურია ურთიერთობები საკრებულოში?

– გარემოს თუ განწყობას ადამიანები თავად ვქმნით, ზოგჯერ სპონტანურადაც ხდება, თუმცა ნეგატიური გარემო-ფაქტორები მნიშვნელოვნად აფერხებენ შემოქმედებითობას. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო ის წარმომადგენლობითი ორგანოა, სადაც სრული სიმშვიდე და იდილია სუფევს, ჯანსაღი გარემოა. დაკომპლექტებულია პროფესიონალთა გუნდით და ეს გუნდი ბატონი ნუგზარის შესანიშნავი ხელმძღვანელობით, ახორციელებს კანონის დაცვით ყველა იმ საქმიანობას, პროფესიონალურ დონეზე, რომელმაც ასახვა უნდა პოვოს ხვალ და ზეგ სამტრედიის მომავალზე.

– ასე თუ ისე იცნობთ მუნიციპალიტეტში არსებულ ვითარებას, როგორც ყოფითს, ისე სოციალურს, პირველ რიგის გადასაჭრელ პრობლემად რას მიიჩნევთ?

– გვსურს, რაც შეიძლება სიღრმისეულად მივუდგეთ ყველა პრობლემას და ერთობლივი მუშაობით კიდევ უფრო მეტი ხარისხი ვაჩვენოთ. ეს არის ჩვენი გუნდის ძირითადი ამოცანა. პირველ რიგის გადასაჭრელ პრობლემად მაინც დასაქმებას მივიჩნევ და მძიმე სოციალურ მდგომარეობას. ამ კუთხით აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ჩვენი მუნიციპალიტეტის პირველი პირების ჩართულობით. ასეთი დამოკიდებულებით გავაგრძელებთ მომავალშიც მუშაობას, მანამ სანამ პრობლემებს სრულად არ აღმოვფხვრით.

– წამით, რომ როლები შევცვალოთ, მე გამიჭირდებოდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და მაინც, თანამედროვე ქალ პოლიტიკოსთაგან ვის მიანიჭებთ და რა თვისებების გამო უპირატესობას?

– დღეს, ქართულ პოლიტიკას ბევრი ახალგაზრდა ქალი პოლიტიკოსი ამშვენებს. ღირსეული უმაღლესი განათლებით, შესაბამისი გამოცდილებით, პროფესიონალიზმით, პრინციპულობით და გამჭრიახობით გამორჩეული. არ მინდა გამომრჩეს რომელიმე მათგანი, ამდენად დასახელებისგან თავს შევიკავებდი. ქალმა სწრაფვა უკეთესი მომავლისაკენ არ უნდა შეწყვიტოს. დღეს ქალები წარმატებულ კარიერაში მამაკაცებს ვეცილებით, სულ უფრო აქტიურ პოზიციებს ვიკავებთ საზოგადოებაში. ნებისმიერ ცხოვრებისეულ ვითარებაში ლიდერი მაინც – ქალია.

– ბოლო წლებმა დაგვანახეს ცალკეულ ადამიანთა სახეები, ცხადია, რომ მავანნი მოცემულ მომენტში, მოცემულ თანამდებობებზე ან მაღალი ხელფასის ან მავანთა ხათრით არიან, თუ არა თავსაც იტანჯავენ და სხვებსაც ტანჯავენ. ვერაფერს ქმნიან საკუთარი უნიათობით, პირადად თქვენ რამდენად კომფორტულად გრძნობთ თავს ახალ ამპლუაში?

– მე პროფესიით ექიმი გახლავართ, გულახდილი ვიქნები და გეტყვით, რომ წარმომადგენლობით ორგანოში მუშაობა დიდი პასუხისმგებლობაა, როცა პოლიტიკაში მოვდიოდი ეს კარგად მქონდა გათავისებული, ვიცოდი რომ იქნებოდა წინააღმდეგობები. ჩვენი მუნიციპალიტეტის საკრებულოში სხვადასხვა დარგის მრავალი კვალიფიციური სპეციალისტია და გუნდური მუშაობით ერთად ყველაფერს შევძლებთ. მე საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ და ახალ ამპლუაში კომფორტულად ვგრძნობ თავს.

– გაზაფხულის კვირაძალზე, ქალთა მოახლოებული დღესასწაულების წინა დღეებში გვიწევს საუბარი, რას უსურვებდით ქალბატონებს, დედებს, საზოგადოებას, "სამტრედიის მაცნეს" მკითხველს?

– პირველ რიგში პანდემიის დასრულებას და ჯანმრთელობას ვისურვებდი ყველასთვის, ადამიანები დაუბრუნდნენ ცხოვრების ჩვეულ რიტმს და ადარ იყოს სტრესული გარემო.

ჩემი სურვილია, რომ დედამიწის ყველა წერტილში დასრულდეს ყველანაირი სახის კონფლიქტი და ვიცხოვროთ სიმშვიდეში. მერე კი ყველაფერს მივადწევთ.

გაზაფხული, მარტი, დედის დღე და ქალთა დღე უკვე განუყოფელია.

ამ პერიოდს გაზაფხულის სიხარულთან ერთად ქალებისთვის გამორჩეული ყურადღება და სიყვარული მოაქვს. ეს თვე ძლიან ჰგავს ქალს – ჭირვეული და შეუცნობელი, ახალი სიცოცხლისა და სურნელის მომტანი, ყველა ქალბატონს, დედას ვუსურვებ დიდ ბედნიერებას.

გულით მახარებს თქვენს გაზეთთან თანამშრომლობა, თქვენს რედაქციას და მკითხველს მივულოცავ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს, წარმატებებს, სიკეთეს და ბედნიერებას ვუსურვებ ყველას.

ოჰ, ეს ფასები...

ლევან გაბეჩავა

რთული პოლიტიკური, ეკონომიკური ვითარებაა მსოფლიოში და ერთი შეხედვით, საკვირველი არ უნდა იყოს ამ ფონზე საქართველოშიც რომ ჭირდეს ცხოვრება, მაგრამ...

მაგრამ გასაჭირიცაა და გასაჭირიც... მსოფლიოში არსებული ვითარების მიუხედავად, რიგი ქვეყნები ახერხებენ განვითარებას, პროგრესს.

როცა მეზობელი სახელმწიფოები "მწვანე ენერგიის" (მზე, ქარი) გამოყენების პრიორიტეტებზე მსჯელობენ, ჩვენთან უძველესი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელ ქვეყანაში, თურქეთ-ირანიდან შემოტანილ კილოგრამ კომბოსტოს 2 ლარად გვთავაზობენ სოკოებივით მომრავლებული ქსელური მარკეტები და სუპერმარკეტები.

იზრდება ფასები ბურღულეულზე, ზეთზე, კვებისა და ყოფით პროდუქტებზე, საწვავზე. არსაიდან ხმა, არსაიდან კონტროლი. პირიქით, ხელისუფალნი ეკონომიკის მზარდ მაჩვენებელზე საუბრობენ.

სამთავრობო თუ ოპოზიციური მედია, აისიდან დაისამდე პოლიტიკურ ოპონენტთა შორის დაუსრულებელი პაექრობის სიუჟეტებით გვიჭედავენ გონებას, სამაგიეროდ არავინ საუბრობს გაზაფხულზე თუ რამდენი მიწა მოიხვნება, რამდენი მოსავალი შევა სახელმწიფო ბეღელში, რითი და როგორ ვიცხოვრებთ, ვიარსებებთ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა.

მობეზრდა ხალხს დღედაღამ პოლიტიკური თოქ-შოუების ცქერა, რომელთა მონაწილეებადაც ჩვენდა სამწუხაროდ და საკვირველად, ხშირად სასულიერო პირებიც გვევლინებიან.

პოლიტიკოსთა შორის გაუთავებელმა ბრალდებებმა, ბოღმამ, ღვარძლმა, წალეკა ქვეყანა.

ისტორია მეორდება, არაფერია ახალი ამ მზისქვეშეთში, მაშინ რატომ სწუხდნენ ყველა დროში, ყველა დროის წარჩინებულნი ჩვენში დამკვიდრებული გათითოკაცების სინდრომის გამო და რატომ აცხადებდნენ, რა დროს მტრობაა ქართველნო და რა დროს განზე დგომაოო? ან "ღმერთო მიეცი ქართველ კაცს ძაღლის გრძნობა და ჭკუაო!.. ვაი, რომ დღესაც აქტიურია ეს ჭმუნვით ნათქვამი.

ვაი, რომ ვერა და ვერ ვისწავლეთ ჭკუა და ჩვენივე გათიშულობით ისევ და ისევ მტერს ვახარებთ,

ვაი, რომ...

თანამედროვე ურთიერთობის პლატფორმაზე
სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივების რეალიზაციისთვის

თეა ბაბუნაშვილი

პროექტის, "სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა", ფარგლებში, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო "საქართველოს" მიერ გამართულ შეხვედრას საჯარო მოხელეები, სხვადასხვა სამსახურის უფროსები და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრები ევროკავშირისა და კონდრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით, იმერეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში ტარდება. ამჯერად, მას სამტრედიამ უმასპინძლა. იგი პანდემიის შემდგომ გამოწვევებს ეხებოდა და ზოგად მითითებებს იძლეოდა ამ პროცესთან დაკავშირებული არაერთი საკითხის ირგვლივ. გარდა ამისა, მიზნად ისახავდა, საჯარო მოხელეებისთვის იმ ძირითადი გამოწვევების გაცნობას, რის წინაშეც იმერეთის მხარეში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოებრივი და სათემო ორგანიზაციები დგანან. საუბარი შეეხო სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობას საჯარო პოლიტიკის განხორციელების პროცესში. პროექტის ორგანიზატორმა, მარიამ ამბროლაძემ, ხაზი გაუსვა, რომ უკვე წლებია მათი ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ მერიასა და საკრებულოსთან. ისინი ამ პროექტის ფარგლებში, ფაქტობრივად, იმერეთის რეგიონული ჰაბი არიან, რაც ნიშნავს, რომ ყველა მუნიციპალიტეტში აქვთ კომუნიკაცია ადგილობრივი მმართველობისა და თვითმართველობის დონეზე.

რაც შეეხება სამტრედიას, აღინიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ყველა აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელებისას სრული მზადყოფნა და მხარდაჭერა იგრძნობა. სამტრედიის ვებ გვერდზე შექმნილ მოქალაქეთა უკუკავშირის პლატფორმის საკითხებზე ვრცლად ისაუბრა საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა სოფიო კირთაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ თუკი დაინტერესებული პირები ტექნიკურად ვერ შეძლებენ თავი გაართვან გამოკითხვას, საინფორმაციო ცენტრში მათ კვალიფიციურ დახმარებას გაუწევენ. "უკვე არაერთი წელია, ჩვენი ორგანიზაცია თანამშრომლობს ადგილობრივი ჩართულობის დემოკრატიის ცენტრთან. აქედან გამომდინარე, ბევრი საინტერესო ერთობლივი პროექტი გვაქვს განხორციელებული. შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხვედრა არის ერთგვარი გვირგვინი. მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის ვებ გვერდზე ჩაშენდა მოქალაქეთა ჩართულობის უკუკავშირის პლატფორმა, რაც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს მათთვის საინტერესო სოციალური პროგრამები შეაფასონ, მოგვცენ მათთვის საჭირო მითითებები, გამოხატონ სურვილები, რაზეც აუცილებლად იქნება შესაბამისი რეაგირება. მოვუწოდებ მოსახლეობას აქტიურობისკენ, რათა მათი შენიშვნები მუნიციპალიტეტმა სამომავლო საქმიანობაში გაითვალისწინოს."

შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე ესწრებოდა, რომელმაც საჯარო სექტორში დასაქმებული მოქალაქეების გამოცდილებიდან, ამ სფეროში პანდემიის გავლენებზე ისაუბრა: "ძალიან კარგი და სასარგებლოა თქვენს მიერ განხორციელებული აქტივობები და ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ჩვენს გამოცდილებას თქვენიც დავამატოთ. პანდემიამ ცხოვრების რიტმი და წესი შეცვალა. ახლა მისაგნებია იმ გამოწვევებზე პასუხი, რომელთა წინაშეც დღესდღეობით ვდგავართ. დარწმუნებული ვარ ზედაპირული ხასიათის არ იქნება ეს თანამშრომლობა. ჩვენის მხრიდან მზად ვართ ნებისმიერ დროს მოგისმინოთ და გიმასპინძლოთ."

სამოქალაქო საზოგადოების როლის გაზრდა საჯარო პოლიტიკაში, გარდა იმისა, რომ ამ შეხვედრის მიზანი გახლდათ, საზოგადოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობებისთვისაც ურთიერთთანამშრომლობის საუკეთესო საშუალებაა.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით
რომ არ იყოს, იმის ბრალია, ამის ბრალია ...

თეა ბაბუნაშვილი

ეს წერილი, ფაქტობრივად, გაგრძელებაა იმ თემისა, რაზეც წინა მასალაში გვქონდა საუბარი. მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი სოფიო კირთაძე უფრო დაწვრილებით საუბრობს და განმარტავს იმ პროგრამის პრიორიტეტებს, რომელიც მოსახლეობას საკუთარი მოსაზრების ხელისუფლებამდე მიტანას უადვილებს. სამოქალაქო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, სასურველია მეტი მოქალაქე ცაერთოს პროგრამის განხორციელებაში, რაც საბოლოო ჯამში მოსახლეობასა და საზოგადოებას შორის დაგებული ერთგვარი ხიდის ფუნქციას შეასრულებს მუნიციპალიტეტისთვის სასიკეთო საქმეების საკეთებლად.

გაეროს განვითარების ფონდის მიერ შექმნილი პროგრამა, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია "**LDA**" – საქართველო ახორციელებს და რომელიც სამტრედიის საინფორმაციო ცენტრის ვებ-გვერდზე "samtredia.com.ge" არის განთავსებული, ერთგვარი გზამკვლევია სამტრედიის მკვიდრთა და მუნიციპალიტეტის მერიას შორის. ეს გახლავთ მოქალაქეთა უკუკავშირის პლატფორმა, რომლის მიზანიც მოქალაქეების მხრიდან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული სერვისებისა და პროგრამების შეფასებაა. იგი სამტრედიელ მოქალაქეებს საშუალებას აძლევს ონლაინ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება იმ სერვისებსა და პროგრამებზე, რომლითაც მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით უკვე ისარგებლეს.

მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ ონლაინ შედგენილი კითხვარის დახმარებით იმ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე მიუთითონ ადგილობრივ ხელისუფლებას, რაც მათ სამტრედიისთვის პრიორიტეტად მიაჩნიათ.

კომუნიკაციის ამგვარ ფორმას, რომელიც თავის მხრივ ნაკლებ ადამიანურ რესურსს მოითხოვს, ადგილობრივი ხელისუფლება მუნიციპალური სერვისების ეფექტიანობის გასაზომად, აქედან გამომდინარე კი, მომავალი წლის ბიუჯეტის უკეთ დასაგეგმად გამოიყენებს.

პლატფორმა შემუშავებულია ქართულ ენაზე და თანხვედრაშია მუნიციპალიტეტის ვებგვერდის დიზაინთან. "ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია შევიდეს ამ პლატფორმაზე და თავისი აზრი და იდეა გამოხატოს, იმასთან დაკავშირებით, თუ რას მიაქციოს მომავალი წლისთვის მუნიციპალიტეტმა ყურადღება. საჭიროების კვლევა ამ ონლაინ პლატფორმით შეიძლება ჩატარდეს. ასევე, აქვეა მონაცემები, ყველა იმ სოციალური პროგრამით მომსახურე პირის, რომლებიც სამტრედიის მუნიციპალიტეტშია დარეგისტრირებული. ასეთი კი დღეის მონაცემებით, 3 ათას ადამიანზე მეტია. გარდა საჭიროებების გაცნობისა, ამგვარად შეიძლება შეფასდეს ადგილობრივი მერიის მუშაობა. ამ პლატფორმის პოპულარიზაცია აუცილებელია, რამეთუ იგი მოსახერხებელია როგორც ქალაქში, ასევე სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის. მათი უკმაყოფილება თუ კმაყოფილება ამ კითხვარის მეშვეობით მივა ხელისუფლებამდე სხვადასხვა საჭიროებებთან ერთად." – ამბობს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო

ცენტრის ხელმძღვანელი სოფიო კირთაძე. აგრეთვე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ საიტზე შესვლისას ასახულია ყველა მონაცემი, თუ რაზე აკეთებენ აქცენტს ის მოქალაქეები, ვინც უკვე ისარგებლეს აღნიშნული უკუკავშირის პლატფორმით, რა არის მათთვის პრიორიტეტი.

სოფიო კირთაძე საუბრობს იმაზეც, რომ ამ პლატფორმით სარგებლობა ერთგვარი სამოქალაქო ვალია, რადგან: "იქნებ თანხები იხარჯება ისეთ საკითხებში, რაც არ არის პრიორიტეტი მოსახლეობისთვის. მათი აქტიურობის წყალობით ამ პლატფორმაზე, შესაძლებელი გახდება მათთვის პრიორიტეტული თემების გამოყოფა. აუცილებელია ამ პროცესებში მათი ჩართულობა. ბუნებრივია, თვითმმართველობასა და ხელისუფლებას განაწყენებული მოსახლეობა არ უნდა, ურჩევნია ისინი კმაყოფილი ჰყავდეს. სწორედ ამიტომ, ამგვარი გამჭვირვალობა საჭირო და აუცილებელიცაა! სულ ვიძახით, იმის ბრალია, ამის ბრალია. ჩვენ, მოქალაქეები ვალდებულებიც ვართ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა, რაც თუნდაც ამ კითხვარის შევსებაში გამოიხატება, ავიღოთ საკუთარ თავზე."

სამოქალაქო პასუხისმგებლობის გათავისება მუნიციპალიტეტისა და შესაბამისად, ქვეყნის კეთილდღეობისთვის გადადგმული უპირველესი ნაბიჯია, რაც ამ ონლაინ პლატფორმის მეშვეობით და სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობის გასიგრძეგანებით, ყველაზე კარგად გამოიხატება.

ილიმება ლურჯთვალება ია...

ლევან გაბეჩავა

წლევანდელმა ზამთარმა ბოლო წლებისგან განსხვავებით თოვლითა და სუსხით თავი ნამდვილად დაგვამახსოვრა.

მზეს სიცხოველე მოემატა, ბებერი ზამთარი საათებსდა ითვლის, გაზაფხულმა კი, იებითა და ენეძელებით გვამცნო მობრძანება.

მოდის მარტი, გაზაფხულის პირველი თვე და ჩვენც განსაკუთრებული სიხარულით ვეგებებით ლამაზ დღესასწაულებს, 3 მარტს – დედის დღესა და 8 მარტს – ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს. მკითხველს მოვაგონებთ, რომ საქართველოში დედის დღის, 3 მარტის აღნიშვნის ტრადიცია, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას სახელს უკავშირდება.

8 მარტი, როგორც ქალთა საერთაშორისო დღე კი გასული საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში დაწესდა. გაცილებით ადრე, ძველ რომში მარტის დადგომისთანავე ტარდებოდა ქალთა დღესასწაული – მატრონალია. ამ დღეს ქალები მსხვერპლს სწირავდნენ იუნონას (ბერძნული ჰერა) და ქმრების, შვილებისა და ახლობლებისაგან, აგრეთვე, თავყვანისმცემლებისაგან საჩუქრებს, განსაკუთრებით ყვავილებს ღებულობდნენ. ეს ტრადიცია დღემდეა შემორჩენილი.

3 მარტი დედის დღეა და ჩვენც უდიდესი პატივითა და კრძალვით ვულოცავთ ამ დღეს ქართველ დედებს, სწორედ მათზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი. არასოდეს გვენახოს სევდიანი ცრემლიანი დედა, "დედები რომ იღიმიან ცა იხსნება თითქოს". – ბრძანებდა გიორგი ლეონიძე სწორედაც რომ ასეა.

გაზაფხულისა და ქალთა დღესასწაულების მოახლოებასთან დაკავშირებით ტრადიციულად, საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ნუგზარ ჯამბურიას ვთხოვეთ მიელოცა ქალებისათვის, რაზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა: "პატივია ჩემთვის დედის დღე და ქალთა საერთაშორისო დღე მივულოცო ყველა დედას, მომავალ დედებს, ქალბატონებს, კეთილდღეობა, სიხარული, უღრუბლო ზეცა მინდა ვუსურვო მათ. სასიამოვნოა, რომ ბოლო დროს გაცილებით მეტი ქალბატონი ვიხილეთ პოლიტიკაში, მე-5 მოწვევის საკრებულოში სამტრედიაში, წინანდელისაგან განსხვავებით მეტი ქალბატონია წარმოდგენილი. გულწრფელად ვულოცავ ყველას.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ერთი სასიამოვნო ინფორმაცია გავაჟღერო, ეს ესაა შევიტყვეთ, რომ ჩვენი კოლეგა, ქალბატონი მანანა სირბილაძე ბებია გახდა, მისი ქალიშვილი კი დედა. საკრებულოს სახელით ორივეს ვულოცავ, ახალშობილს კი ბედნიერ საქართველოში ვუსურვებ ჯანმრთელ, ღირსეულ ცხოვრებას, გთხოვთ ჩემი გულწრფელი მილოცვა გადასცეთ "სამტრედიის მაცნეში" დასაქმებულ ქალბატონებს. – აღნიშნა ბატონმა ნუგზარ ჯამბურიამ.

გულწრფელადვე ვუერთდებით საკრებულოს თავმჯდომარის გულწრფელ მილოცვას, დედის დღეს, ქალთა საერთაშორისო დღეს გილოცავთ ძვირფასო დედებო, ძვირფასო ქალბატონებო!

ისტორია მეორდება თითქოს, ბოლო საუკუნეების დასაწყისი ყოველთვის მძიმე პანდემიებს უკავშირდება. "შავი ჭირი", "ყელჭირვება", "ტიფი"... ამჯერად "'კოვიდი", "ომიკრონი".

საოცრად გაშინაურდა გაჟოველდღიურდა წყეული სიკვდილი. ორი წელია ვერაგ მტერს ვერბრძვით და, გადაჭრით ძალზე ძნელია თქვა – დაგვამარცხა, თუ დავამარცხეთ ეპიდემია.

პანდემიის მძვინვარების ამ ორ წელიწადში ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრი ადამიანი გარდაიცვალა პანდემიით, თუ ბუნებრივი სიკვდილით. ამჯერად, ქალთა დღესასწაულების მოახლოებასთან დაკავშირებით იმ სამტრედიელ ქალბატონებს გავიხსენებთ, აქტიური საზოგადოებრივი პოზიცია რომ ეკავათ და არა მარტო ოჯახებს, თითოეულ ჩვენგანს დააკლდნენ, ბევრნი, ბევრნი არიან ისინი: **მაყვალა კანდელაკი, ლია ბიბილეიშვილი, გოგოლა ნაცვლიშვილი, დალი ღამბაშიძე, აზა მელქაძე, ჟუჟუნა ფრანგიშვილი, მზია ბაღდავაძე, ნუნუ სანიკიძე, მადლენა ძნელაძე, დარეჟან ახობაძე, ნინეზა გორდულაძე, დალი ღამბაშიძე, დალი ნიკურაძე, მერი სერგეევა, ნინო ქანთარია, დალი იმნაიშვილი, ზაირა გრიგოლია, ციალა დეშჩი...**

ისე არავინ გაგვიგოს, ჩვენს მიერ დასახელებულთაგან თითქოს ყველანი პანდემიამ იმსხვერპლა, არა, უბრალოდ ერთგვარი უხერხულობა გვეუფლება პანდემიის გამო ჯეროვანი პატივი რომ ვერ მივაგეთ და ბევრი მათგანი უკანასკნელ გზაზეც რომ ვერ გავაცილეთ.

ნათელში ბრძანდებოდეთ, ძვირფასო ქალბატონებო, სევდიანია უთქვენოდ მარტი.

ვისაც ლიტერატურა უყვარს

ლიტერატურა და კონკურსი ჩემთვის უინტერესო მიქსია!

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიელი გიორგი ადეიშვილი პროფესიით ფსიქოლოგია. ნიჭიერმა ახალგაზრდამ სულიერი ამბოხი გარემომცველ სინამდვილესთან გარეპა, მისი მუსიკალური ტექსტები არაერთ სოციალურ თემას ეხება. გიორგიმ პირველი რომანის პრეზენტაცია უკვე მოაწყო, მისი მეორე რომანი მალე დღის სინათლეს იხილავს. ჩვენს რუბრიკაში მონაწილეობას გიორგი სიამოვნებით დასთანხმდა. წიგნი ჩვენი რესპონდენტისათვის რომ დიდი ფასეულობაა, ამაში მკითხველი თავადვე დარწმუნდება.

– გიორგი, "სამტრედიის მაცნეში " წარსულში თქვენი ლექსები დაბეჭდილა, უკვე ფართო აუდიტორიის წინაშე წარსდექით თქვენი პირველი რომანით, მუშაობთ რომანზეც, რას გვეტყვით თქვენი შემოქმედების შესახებ? რა თემებზე ხართ ორიენტირებული?

– მოგესალმებით, მადლობას გიხდით დაინტერესებისათვის, მოხარული ვარ. ლექსები, პოეზია უფრო ჩემს ბავშვობას უკავშირდება, ჯერ სკოლაშიც არ ვიყავი შესული, როცა ბებო და დეიდა გალაკტიონის ლექსებს მიკითხავდნენ, სწორედ ასეთ ღრმა წარსულთან მაკავშირებს პოეზიის სიყვარული. მოგეხსენებათ, მოზარდში უამრავი პროტესტი, აზრი და იდეა იბადება, პოეზია და ზოგადად, ხელოვნება საუკეთესო გზაა, რომ შენი სათქმელი თქვა, ამას ადრეულ ასაკშივე მივხვდი.ვწერდი ლექსებს, მუსიკალურ ლირიკას, მომწონდა ამის კეთება, ეს ჩემთვის თერაპიასავით იყო, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად პროზამ იმდენად გამიტაცა, არც ენერგია და აღარც ენთუზიაზმი დარჩა ჩემში, რომ ისევ რითმები ვეძებო, ახლა ჩემი შემოქმედება სრულიად პროზაშია ჩაფლული, მხატვრული ლიტერატურა საბოლოო გაჩერება აღმოჩნდა, ნუ, ახლა ასე მგონია...

– ჩვენი რუბრიკის სახელწოდებაა "ვისაც ლიტერატურა უყვარს"რამდენად ახლოსაა ლიტერატურა თქვენს პროფესიასთან?

– მშვენიერი სახელწოდებაა, პროფესიით ფსიქოლოგი ვარ, ფსიქოლოგია ზედმეტად ახლოსაც არის ლიტერატურასთან, ასე ვოქვათ, ლიტერატურა საუკეთესო საშუალებაა ადამიანის ფსიქოლოგიის აღწერისათვის, უამრავი მწერალი თავისი შემოქმედებით საუცხოო ფსიქოლოგიც არის, მეც სწორედ ადამიანის ფსიქოლოგიაზე ვაკეთებ აქცენტს, ვფიქრობ, ყველაზე საინტერესო სიახლეები ისევ და ისევ ჩვენს ტვინებში იმალება.

– ფეისბუქსივრცეში გახსნილი და თავისუფალი ხართ, მარიხუანას მოხმარებას ქადაგებთ, თუმცა პარალელურად არაერთ სოციალურ პრობლემას ეხებით და მნიშვნელოვან საკითხს ეხმიანებით, საინტერესოა, როგორია თქვენი შემოქმედების მამისეული შეფასება, სად არის თანხვედრა და სად ხედვათა კონფლიქტი?

– ალბათ ადრე უფრო გახსნილი ვიყავი, ახლა –ნაკლებად. მე არ ვფიქრობ, რომ ჩემი მუსიკალური ტექსტები მარიხუანას მოხმარებას ქადაგებს, უბრალოდ, ეს არის ერთგვარი პასუხი იმ მჩაგვრელი კანონების მიმართ, რომელებიც აშკარად არღვევენ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, ამ თემაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ასე რომ, ვეცდები, მოკლედ გიპასუხოთ, მარიხუანას მოხმარება – ეს ადამიანის თავისუფლების ნაწილია და ჩემთვის მტკივნეულია, როცა ვხედავ, როგორ უქმნის მარწუხებს სახელმწიფო საზოგადოებას, აქ არა მხოლოდ მარიხუანაზეა საუბარი, აქ ზოგადად, თავისუფლების ხარისხზეა, მხოლოდ თავისუფალ საზოგადოებას შეუძლია იყოს პროგრესული და კულტურული, ადამიანმა უკეთ იცის, რა სურს მას. ჩვენ მხოლოდ ერთი სიცოცხლე გვაქვს და გვაქვს თუნდაც შეცდომების დაშვების უფლება, თუ ამ შეცდომებით სხვებს არ ვაზიანებთ. ახლა მითხარით, ვის ვაზიანებ მე კანაფის მოხმარებით, ანაც ჭიქა ვისკის წრუპვით? ამაზე უნდა დავფიქრდეთ.

– წიგნის კითხვა უფრო გახიბლავთ თუ საკუთარი აზრების ფურცელზე გადატანა?

– ეს ორი სრულიად განსხვავებული პროცესია ემოციურად. წერის პროცესი, ზოგადად, საუკეთესო შეგრძნებაა ჩემთვის შეგრძნებებს შორის, ჩემს შვილთან თამაშის შემდეგ.

– თქვენი ნაწარმოებების პირველი წამკითხველი ვინ არის?

არის რამდენიმე ადამიანი, რომელიც ჩემი აზრით, ობიექტურად აფასებს ხოლმე ჩემს ნაშრომს, მათ აზრებს ვიზიარებ, ვითვალისწინებ, კონკრეტულად კი არავინ.

– საზოგადოების გულცივობის, ადამიანთა გაუცხოების უმთავრეს მიზეზს ხედავთ თუ არა იმაში, რესტორნებმა რომ გადააჭარბეს წიგნის მაღაზიებს და ახალგაზრდობამ ზურგი შეაქცია წიგნს?

არა მგონია, რესტორნების და წიგნების ბრალი იყოს ის, რომ ადამიანებმა დაკარგეს სიყვარული და თანაგრძნობა, ვფიქრობ, ეს მოგონილი თეორიაა. კითხვა ასე უნდა დავსვათ: რომელ დროსთან შედარებით? შეიძლება, ინტერნეტმა მართლაც გააჩინა გარკვეული სიცარიელე ადამიანებს შორის, მაგრამ საერთო ჯამში, ეს ყველაფერი ძალიან ბუნებრივია. ყველაფერი იცვლება, ეს კანონზომიერებაა და ისიც კანონზომიერებაა, რომ ჩვენ რაღაცეები მოგვწონს, რაღაცეები კი არ მოგვწონს.

– საყვარელი მწერლები და პოეტები დაგვისახელეთ?

– ასეთი ძალიან ბევრია, ამიტომ თითო-თითოს დავასახელებ: დოსტოევსკი და გალაკტიონი.

– არის თანამედროვე მწერალი, ქართველი თუ უცხოელი, ვის ნაწრმოებებსაც ელოდებით?

– არა, ვერ ვიხსენებ მსგავსს.

– სამაგიდო წიგნი გაქვთ?

– სამაგიდო წიგნი, ალბათ მაინც დოჩანაშვილის "სამოსელი პირველია"

– თანამედროვე ლიტერატურულ კონკურსებს როგორ შეაფასებთ?

– საერთოდ არ ვადევნებ თვალს-ყურს, ლიტერატურა და კონკურსი ჩემთვის უინტერესო მიქსია.

– გყავთ ფავორიტი ქართველი მწერალი, რომელიც, ფიქრობთ, რომ ჯეროვნად აღიარებული არ არის?

– გოგენი გაჭირვებაში მოკვდა, საღებავების ფულიც კი არ ჰქონდა, რომ დაეხატა, დღეს მისი ტილოები ათობით მილიონი დოლარი ღირს, ადრე თუ გვიან საზოგადოება ყველას აღიარებს, ვინც ამას იმსახურებს.

– რას ეტყვით პლანშეტში თავჩარგულ თაობას, კომპიუტერულ თამაშებს რატომ უნდა ამჯობინოს წიგნი?

– მათ ვეტყვი, რომ პლანშეტის მიღმა უამრავი საინტერესო რაღაც ხდება და სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ,დრო ლოდინს არ აპირებს.

დიდება უფალს!

დღეს ყველა პოლიტიკითაა დაკავებული, ვის პოლიტიკური თანამდებობა უკავია, ვის კიდევ პოლიტიკოსთა განმქიქებლის როლი მოურგია, არიან რეალურად მოაზროვნე, უვერცხლო პოლიტიკოს-ანალიტიკოსებიც, თუმცა ვითარება წინ მაინც ვერ მიდის.

ბოდმამ,ღვარძლმა წალეკა ყველაფერი,ისე გავკადნიერდით ლაფს ვესვრით დედაეკლესიასა და მის საჭეთმპყრობელს.

და მაინც, ეკლესია, როგორც ინსტიტუცია და საქართველოს პატრიარქი კანონიერად არიან მიჩნეულები (შესაბამისად) პირველ ინსტიტუციად, თანამედროვეობის ყველაზე დიდ ქართველად.

რთული იყო გზა, რომელიც დედაეკლესიამ 1917 წლის 25 მარტის შემდეგ გამოიარა. ეს ის თარიღია, როცა აღსდგა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა-ავტოკეფალია.

იყო წლები უღმერთოებისა, ნგრევისა, არის წლები შენებისა და რაოდენ სასიამოვნოა, რომ საქართველოს სისხლით მორწყულ მიწაზე კვლავ შენდება ტაძრები, სამლოცველოები, უფრო ბევრ სოფელს, კუთხეს, უბანს ეფინება საკმეველის სურნელი და ზარის გუგუნი.

განუზომელია გარჯა და ღვაწლი ერის სულიერ-ზნეობრივი განვითარების საქმეში რომ შეაქვს მის უწმინდესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს.

25 მარტს, 105 წელი სრულდება საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენიდან, გილოცავთ!

ლევან გაბეჩავა

DMO Imereti მერებს ანგარიშს აბარებს

“იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციამ” (DMO Imereti) 2021 წელს განხორციელებული პროექტების შემაჯამებელი ანგარიში სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე წარადგინა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ: ააიპ “იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის” სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ზვიად შალამბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარისა და DMO იმერეთის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პაატა ლილუაშვილი და ასევე საბჭოს წევრები, იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები.

DMO Imereti-ს ხელმძღვანელმა მარი დევიძემ მომავალი 2022 წლის პროექტების გეგმა წარადგინა, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არის დამტკიცებული.

ნინო ნანიტაშვილი

იმერეთში “ქართული ოცნება” ქალთა ორგანიზაციებს ხვდება

“ქართული ოცნების” ქალთა ორგანიზაციის დაფუძნებასთან დაკავშირებით მმართველი პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე საპარლამენტო უმრავლესობის წევრებთან ერთად ქუთაისში, პარტიის იმერეთის რეგიონის ადგილობრივი ორგანიზაციების წევრ ქალებს შეხვდა.

ქუთაისის, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, ხარაგაულის, ხონის, წყალტუბოსა და ჭიათურის ადგილობრივ ორგანიზაციებთან შეხვედრაზე ქალთა ორგანიზაციის დამფუძნებელი ყრილობის ჩატარებასთან დაკავშირებით პოზიციები შეჯერდა. შეხვედრას ესწრებოდნენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები მაკა ბოჭორიშვილი, რიმა ბერაძე, ნინო წილოსანი, ეკა სეფაშვილი, მაია მენაღარიშვილი,ქეთი დუმბაძე,ბაია კვიციანი, ლევან მგალობლიშვილი,ზაზა ლომინაძე,ბეჟან წაქაძე, გივი ჭიჭინაძე, სახელმწიფო რწმუნებული იმერეთის მხარეში ზვიად შალამბერიძე, ქუთაისის მერი იოსებ ხახალეიშვილი,საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია,იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები.

იმავე დღეს შეხვედრა გაიმართა ოზურგეთში. “ქართული ოცნების” ადგილობრივი ორგანიზაციების წევრ ქალებთან შეხვედრები უკვე ჩატარდა მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და კახეთის მხარეებში.

ნინო ნანიტაშვილი

როცა ადამიანისთვის სიკეთის კეთებაა უპირველესი

არის ცხოვრებაში წუთები, როდესაც ვერ აცნობიერებ სიხარულის მიზეზს...

მერე კი უცებ ხვდები, რომ მიზეზი დიდი სიყვარულია, დიდი განცდაა, “ადამიანად ყოფნის” განცდაა, დიდი ადამიანის გვერდით ყოფნაა...

ადამიანად არ იბადებიან, ადამიანად ყალიბდებიანო, უთქვამთ.

მე არ ვიცი;

ვერ გეტყვით, ვინ თქვა, ან რატომ თქვა... მაგრამ ის კი ვიცი, ბატონი კახი კალაძის ჩამოყალიბებისთვის მისმა მშობლებმა – ქალბატონმა მედეამ და ბატონმა კარლომ – ყველაფერი გაიღეს. ჯერ კიდევ პატარას ასწავლეს სხვისი სიყვარულის, სხვისი ტკივილის გაზიარება; სითბოს გაცემა, მეგობრისთვის თავდადება, უანგარო ურთიერთობები...

თუმცა, რა გასაკვირია!

დედა ნახე, მამა ნახეო...

შვილიც ისეთია:

შრომისმოყვარე,

თავდაუზოგავი და

გულანთებული.

ჰო, ადამიანობაზე ვწერდი...

ყველაფერი შეიძლება შვილს ასწავლო, მაგრამ მისი ადამიანად ჩამოყალიბება ურთულესი მომენტია.

ქალბატონმა მედეამ და ბატონმა კარლომ ეს შეძლეს; თავადაც უთბილესებმა, ქველმოქმედებმა და სიყვარულით სავსე ადამიანებმა.

და რა გასაკვირია, თუ ასეთი ოჯახის შვილს თავადაც საოცარი ოჯახი ჰყავს – ულამაზესი და უთბილესი.

დღეს ბატონი კახი იუბილარია.

საკუთარი დაბადების 44-ე წელს ზდაპრულ ფერიასთან და ოთხ არაჩვეულებრივ ვაჟთან ერთად ხვდება.

გვეამაყებით, ბატონო კახი, რომ გვყავხართ.

ყავხართ მთელ საქართველოს.

თქვენი უპირველესი ღირსება ადამიანობაა, მთელი მისი არსითა და დიდებულებით.

თქვენ თვალი გაუსწორეთ იმ მძიმე რეალობას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დაგხვდათ; მაგრამ უკან არ დაიხიეთ, არ შეეპუეთ, არ აირიდეთ. პირიქით, წინა ხაზზე იბრძოლეთ და იბრძვით დღესაც; თქვენ დაგვანახეთ, რომ ქალაქის პირველი პირი არის არა განყენებული ჩინოსანი, არამედ ერთ-ერთი ჩვენგანი, ჩვენი ტკივილებითა და ღიმილებით სავსე...

ეს წერილი პატარაა ბატონი კახისთვის. ამიტომ, უბრალოდ ვიტყვი:

გმადლობ, უფალო, ასეთი ადამიანი რომ მოგვივლინე!

დაბადების დღეს გილოცავთ, ბატონო კახი!

ქრისტესმიერი
სიყვარულით – შორენა
ამაღლობელი

ნინო სტურუა – კემბრიჯის უნივერსიტეტის სერტიფიცირებული მასწავლებელი

კემბრიჯის უნივერსიტეტი ატარებს საერთაშორისო გამოცდებს მასწავლებლებისთვის და აფასებს მათი სწავლების ხარისხსა და შესაძლებლობებს. გამოცდაზე საკმაოდ მაღალი ქულაა საჭირო იმისთვის, რომ აპლიკანტმა აიღოს მაღალი დონის სერტიფიკატი და გახდეს კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ სერტიფიცირებული პედაგოგი ინგლისურ ენაში.

ამ დღეებში, ცნობილი გახდა, რომ ქალაქ სამტრედიის №1 საჯარო სკოლის პედაგოგმა, ნინო სტურუამ მოიპოვა კემბრიჯის უნივერსიტეტის მაღალი დონის სერტიფიკატი და გახდა უდიდესი ინგლისურენოვანი უნივერსიტეტის მიერ სერტიფიცირებული ქართველი პედაგოგი.

ნინო სტურუა ასევე არის კლუბ "Speaking"-ის დამფუძნებელი,რომელიც ზრუნავს მოსწავლეებზე, რთავს მათ საერთაშორისო პროექტებში და ეხმარება უცხოური ენის დახვეწაში.

"სამტრედიის მაცნე"' ულოცავს ნინო სტურუას წარმატებას და პროფესიულ წინსვლას უსურვებს.

ნინო ნანიტაშვილი

"ნანა იოსელიანის საიუბილეო თასი – 2022"

9 თებერვალს დაიწყო და 12 თებერვალს დასრულდა ქალაქ თბილისში, "ნანა იოსელიანის საიუბილეო თასი – 2022," რომელშიც ტიტულოვან მოჭადრაკეთა შორის მონაწილეობდა მერი არაბიძე.

საერთაშორისო დიდოსტატმა მერი არაბიძემ დია ტურნირში, რომელიც 10 თებერვალს ჩატარდა ქალთა შორის გამარჯვებით, 6,5 ქულით "ნანა იოსელიანის თასი – 2022" მოიპოვა.

"ნანა იოსელიანის საიუბილეო თასი – 2022"-ში 9 წლამდე ასაკის გოგონათა შორის მონაწილეობდა სამტრედიელი მოჭადრაკე 9 წლის ანა ბელთაძე, რომლის მწვრთნელ-მასწავლებელი ნინო ჯვარშეიშვილია. ანა ბელთაძე საპრიზო მე-2 ადგილზე გავიდა.

"სამტრედიის მაცნე" ულოცავს ტიტულოვან მოჭადრაკეს, საერთაშორისო დიდოსტატს, მერი არაბიძეს მორიგ გამარჯვებას. ასევე, ანა ბელთაძეს, რომელმაც ასახელა მშობლიური ქალაქი.

ნინო ნანიტაშვილი

ეს ჩვენი რეალობაა

ქვეყანაში არსებული ვითარება ყველასათვის ცნობილია. დღეს ქართველი პარლამენტარები ერთმანეთში დაუსრულებლად კამათობენ. დაპირისპირების ნიადვარმა წალეკა ყოველივე, თავს დავსტრიალებთ ერთსა და იმავე საკითხს და თუ რადიკალურად არ შეიცვალა ვითარება, რა თქმა უნდა სასიკეთოდ, ყველანი ჩავიძირებით.

ქართულ პოლიტიკაში დომინირებს სიძულვილის ენა, ეს კი, სახელმწიფოს თვითმყოფადობას არა მარტო ვნებს, ანგრევს კიდეც. კონკრეტული სახელმწიფო მაშინ აყვავდება, ნათელი იდეები მაშინ შეისხამენ ხორცს, თუ სრულად იქნება გაცნობიერებული საყოველთაო კეთილდღეობის აუცილებლობა.

პოლიტიკამ შეიძლება იყვარგოს მაშინ, თუ მიზანს საფუძვლად დაედება სამართლიანობის, სიკეთის, სულიერების პრინციპები.

ერის სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა: "ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს, ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდბუნებოვანობის შარავანდედითა, თაყვანსა სცემს სასოებით და მადლობითა. ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა და დაუვიწყარობა".

დროა ქართველმა პოლიტიკოსებმა ხალხის ხმა ისმინონ, მათი სატკივარი გაითავისონ და მსოფლიოს დავანახოთ, რომ დიახადაც უძველესი კულტურისა და სახელმწიფოებრიობის მქონე ერი რომ ვართ.

გია გოჭორიშვილი

სამტრედია წარმატებულ მოჭადრაკეთა შედეგებს ითვლის

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის ჭადრაკის მწვრთნელებმა და მოსწავლეებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს ბათუმში გამართულ საჭადრაკო ფესტივალზე "შავი ზღვის დელფინი 2021".

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონების და პრიზიორების გარდა დაჯლდოვდა სამი საუკეთესო მწვრთნელი, რომლებიც გამარჯვებულ სპორტსმენთა მიერ მოპოვებული ქულების მიხედვით გამოვლინდა. პირველ ადგილზე სამტრედიის გუნდის მწვრთნელი ნინო ჯვარშეიშვილი დასახელდა. ტურნირი საერთაშორისო იყო, თუმცა, კოვიდპანდემიის გამო, ბოლო ორი წელია, მხოლოდ საქართველოს მასშტაბით ტარდება. წლევანდელ ტურნირში მონაწილეობა 8-დან 20 წლამდე ასაკის 50-მდე ჭაბუკმა და გოგონამ მიიღო. ჩვენი სამტრედიელი მონაწილეები ოთხი პირველი ადგილით და ერთი მე-2 ადგილით,თასებით,დიპლომებით და საჩუქრებით დაგვიბრუნდნენ.

10 წლამდე გოგონათა შორის პირველ ადგილზე გავიდა 8 წლის ანა ბელთაძე, 8 წლამდე გოგონათა შორის პირველ ადგილზე – მარიამ ბელთაძე (მარიამი და ანა ტყუპები არიან), 8 წლამდე ჭაბუკთა შორის პირველ ადგილზე – 7 წლის ლუკა ბელთაძე. მათი მწვრთნელია ნინო ჯვარშეიშვილი.

10 წლამდე ჭაბუკთა შორის პირველი ადგილი დაიკავა 10 წლის ლუკა რუხაძემ და მე-2 ადგილზე გავიდა 9 წლის დანიელ ღონიაძე. მათი მწვრთნელია ბესარიონ ლეჟავა.

2021 წლის 23-31 დეკემბერს ქალაქ ქუთაისში გაიმართა იმერეთის საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში, მე-5 თანრიგოსან გოგონათა შორის პირველ ადგილზე გავიდა მარიამ ბელთაძე, ხოლო მე-2 ადგილზე ანა ბელთაძე და დაამტკიცა მე-4 თანრიგი. მათი მწვრთნელი გახლავთ ნინო ჯვარშეიშვილი. აგრეთვე, ამ ტურნირზე უთანრიგო ჭაბუკებში პირველ ადგილზე გავიდა სამტრედიელი ნოდარ კოხრეიძე. მე-3 ადგილზე – ნიკოლოზ ბედინეიშვილი და დაამტკიცეს მე-5 თანრიგი. მათი მწვრთნელია ბესარიონ ლეჟავა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ჩემპიონებს და მათ მწვრთნელებს დიდი მხარდაჭერა აქვთ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიისგან და ააიპ კომპლექსური სპორტული სკოლისაგან.

2022 წელი სამტრედიელი მოჭადრაკეებისთვის ასევე ნაყოფიერად დაიწყო. იმერეთის საკვალიფიკაციო ჩემპიონატზე დაჯილდოვდა ექვსი სამტრედიელი მოჭადრაკე. 8 წლის ზევით უთანრიგო გოგონებს შორის პირველ ადგილზე გავიდა თამარ ბელთაძე და დაამტკიცა მე-5 თანრიგი. 7 წლამდე გოგონებს შორის პირველ ადგილი დაიკავა ანანო ღუღუნიშვილმა. მე-5 თანრიგოსან ჭაბუკებს შორის მე-3 ადგილზე გავიდა დემეტრე თევზაძე და დაამტკიცა მე-4 თანრიგი. მათი მწვრთნელია ნინო ჯვარშეიშვილი.

მე-5 თანრიგოსან ჭაბუკებს შორის მე-2 ადგილზე გავიდა ნოდარ კოხრეიძე, მე-3 ადგილზე – თამაზ კახაძე და დაამტკიცეს მე-4 თანრიგი. 8 წლის ზევით უთანრიგო ჭაბუკებს შორის მე-2 ადგილზე გავიდა კონსტანტინე კიკაჩეიშვილი და დაამტკიცა მე-5 თანრიგი. მათი მწვრთნელია ბესარიონ ლეჟავა.

რეპორტაჟი საავადმყოფოდან, სადაც რიგში კოვიდპაციენტები დგანან

ნათია ნაცვლიშვილი

– მიშველეთ, შვილი, მიშველეთ! – ყვირის ახალგაზრდა ქალი და ცდილობს, ხელებში მომწყვდეულ მეცხრეკლასელ გოგონას შეკრული კრიჭა გაუხსნას.

– აქეთ-იქიდან წამოვიშალეთ სხვადასხვა კუთხეში მდგარი ადამიანები. ხელში ბოთლი მომხვდა, ვერ ვხვდები წყალია თუ სადეზინფექციო სითხე, მაინც წყალი მგონია და სახეში ვასხამ, ვიღაცამ მიწაზე დააწვინა, ფეხები აუწია. შეკივლების ფონზე ექიმები გამოცვივდნენ, თუმცა მანამდე კოვიდიანი გოგონა გონზე მოვიდა, მაგრამ ძალიან ცუდი ფერი აქვს. საავადმყოფოს კოვიდგანყოფილებაში გეგმიური ანალიზებისთვის მოსული მოსახლეობა რიგში დილის 8 საათიდან ეწერება. ორი რიგია – ერთი ანალიზების, მეორე კი, რენტგენოგრაფიის. დაღლილია ყველა: ექიმიც, პაციენტიც, კოვიდიანიც, უკოვიდოც... და მაინც, ამ უეცარმა ელდამ გააერთიანა საავადმყოფოს მისაღებში, გრძელ რიგში მდგომი ჩვენი თანაქალაქელები, ქართველთათვის დამახასიათებელი თანადგომის განცდამ იმძლავრა.

– გავატაროთ, გავატაროთ, გოგონა!

– გოგონას მოხუცი ქალბატონი მოჰყვა, რომელიც ხელკავით მოჰყავს შვილს, ქალს საცაა მუხლი მოეცელება, ის რიგში მეცხრამეტეა.

– გავატაროთ ეს ბებოც, გავატაროთ – კვლავ გადავულაპარაკეთ ერთმანეთს. ბებო მადლობას გვიხდის და შედის.. გამოსვლისას გვლოცავს..

– ვინ არის მომდევნო?

– ვკითხულობ.

– ქალბატონო, დაიხიეთ უკან, ჩვენ აქეთა მხრიდან უკოვიდოები ვართ, მაინცდამაინც უნდა დაგვსვაროთ? გაგვიშვით ურიგოდ, ჩვენ ხომ თანხა გვაქვს გადახდილი.

– მიბრძანდით, ბატონო, ვეუბნები ახალგაზრდა კაცს, მე გითმობთ.

– რატომ მიბრძანდეს? აქ რამდენი ხალხია რიგში, მოვა მისი რიგი, ოცდამეცამეტეა და წაბრძანდეს! – უპასუხეს უკანა რიგებიდან.

ახალგაზრდამ არავის დაუგდო ყური, შევიდა და ხმაურიც ატყდა.

ჩოჩქოლზე სახედაღლილი, შეფუთნული ექიმი გამოვიდა, მხოლოდ თვალები უჩანდა, გვთხოვა:

– ჩემო ძვირფასებო, დღეს მხოლოდ 40 ადამიანია, გუშინ 100 მოქალაქე მყავდა, ისე მშვიდად წარიმართა პროცესი, ხმა არავის ამოუღია, დამდეთ პატივი, დაიცავით სიმშვიდე, მუშაობაში ხელს ნუ შემიშლით, ყველა თგვენგანს დასკვნა უნდა მივცე. გუშინ საღამოს ათი საათი ისე მოვიდა, აღმოვაჩინე, ლუკმა არ მქონდა ნაჭამი და ბოლო პაციენტი გავისტუმრე...

ექიმის წინაშე ყველა დადუმდა.

– მართალია, დაიღალნენ ექიმები, დავინდოთ ერთმანეთიც და ადამიანებიც, იქცევა ქვეყანა, ხომ ხედავთ, დღეს ვართ და ხვალ აღარ... და დაიწყეს რიგში მდგარმა ქალბატონებმა უკრაინაში მიმდინარე ომის ამბების მოყოლა, გააგრძელეს საქართველოს ეპიდვითარებით და დაასრულეს სამტრედიაში არსებული კოვიდსიტუაციის დასტაბილურებით.

მეც ავიღე ანალიზი, გადავიღე რენტგენოგრამა. ზოგთან თურმე მეხუთე დღეს რეკავს ონლაინ ექიმი. ჩემთან მანამდე დარეკა ექიმმა ვახტანგ დუნდუამ, ვიდრე პისიარ ტესტის პასუხი მოვიდოდა. თუ წინათ კოვიდს ბინაზე მყოფ პაციენტებთან ქუთაისელი ან თბილისელი ექიმები მართავდნენ, ახლა ჩვენი მუნიციპალიტეტის ექიმები გვიკავშირდებიან და რჩევებს გვაძლევენ.

ეს იყო სამედიცინო მომსახურების მისაღებად რიგში მდგომი კოვიდპაციენტის, ნათია ნაცვლიშვილის რეპორტაჟი.

PS. კოვიდპანდემიამ არაერთი ღირსეული ჩვენი თანაქალაქელიც იმსხვერპლა, რომლებიც სხვადასხვა მუნიციპალიტეტების თუ ჩვენს სამედიცინო დაწესებულებებში იმყოფებოდნენ. ექიმების მიმართ გაგონილ საყვედურებსაც მოისმენთ, უცოდველი ცხადია, ქვეყნად არავინაა. პირადად მე, ერთ რიგით პაციენტს, მხოლოდ მადლიერების გრძნობას მიტოვებს ჩემი კოვიდოდისეა, რომელიც ხველებით გრძელდება და ჯერ სულაც არ დასრულებულა. და კიდევ, უდიდესი მადლობა "ჯეოჰოსპიტალსის" სამედიცინო ცენტრის მენეჯერ ლუარა კახიანს, გულმოწყალე ადამიანს, ბრწყინვალე ექიმს და საუკეთესო მენეჯერს.

კორონავირუსის პანდემიის დასასრული 2022 წლის ბოლოსთვის ჯანმოში დასაშვებად მიაჩნიათ

კორონავირუსის პანდემია შეიძლება დასრულდეს წლის ბოლომდე, თუ ომიკრონის ტალღის შემდეგ მსოფლიოში აღარ იქნება დასნებოვნების მკვეთრი მატება.

რას ნიშნავს პანდემიის დასასრული? ეს იმას ნიშნავს, რომ არ იქნება დასნებოვნების შემთხვევათა მკვეთრი, ნახტომისებური მატება, მაგრამ ვირუსი არსად გაქრება – აცხადებენ ჯანმოს ექსპერტები.

მათი თქმით, დასნებოვნების დიდი რიცხვი ვირუსის მუტირების უნართან ერთად, არ იძლევა ზუსტი პროგნოზის გაკეთების საშუალებას, თუ როგორ წარიმართება სიტუაცია, თუმცა არსებობს ფრთხილი ოპტიმიზმი, რომ დიდი ტალღები დასრულდება, როდესაც ომიკრონი შემოივლის მთელს მსოფლიოს.

ჯანმო ცდილობს ზუსტი პროგნოზის გაკეთებას, როდის დასრულდება პანდემია, თუმცა სირთულე იქმნება იმის გამო, რომ სახელმწიფოები ამჟამად ცვლიან თავის სტრატეგიას ტესტირებებთან მიმართებაში. ექსპერტები განმარტავენ, რომ ომიკრონ-შტამი ძალიან გადამდები და სწრაფად გავრცელებადია, ხოლო ზოგიერთი ქვეყანა ფინანსური და სხვა შესაძლებლობების არქონის გამო ვერ ახდენს თითოეული ადამიანის ტესტირებას, დიდი რაოდენობით უსიმპტომო დასნებოვნებულის არსებობის გათვალისწინებით.

დღეს, არსებული სურათი სრულად არ ასახავს დასნებოვნებულთა ზუსტ რიცხვს, როგორც ეს იყო პანდემიის დასაწისში და "დელტა" შტამის შემთხვევაში.

ამავდროულად, ჯანმოს მთავარი მეცნიერ თანამშრომელი სუმია სვამინატი მიუთითებს, რომ კორონავირუსული ინფექციის პანდემია ჯერ კიდევ არ დასრულებულა და ჯანმო ელოდება ახალი შტამების გამოჩენას.

კალათბურთელი გოგონები, რომლებიც ამიერკავკასიის პირველობას არავის უთმობდნენ

მინდა იმ მტკივნეულ თემას შევეხო, რომელიც ჩემი გოგონების "მოგონებას" ეძღვნება აგრეთვე იმ პედაგოგებს, რომლებიც დიდი ხნის წინათ, ამ ქალაქში სპორტ-საზოგადოების წამყვანი სპეციალისტები იყვნენ და სამტრედიას ასახელებდნენ, გოგონებს, რომლებსაც მწვრთნელად გვყავდა ბატონი ჯემალ ნიკურაძე. რამდენი თაობა გამოზარდა მან, ყოველთვის ასახელებდნენ სამტრედიას.

მტკივნეულია ეს თემა იმიტომ, რომ ამ გოგონებიდან ბევრი ძალიან ახალგაზრდა წავიდა, ესენი იყვნენ: მაგული შენგელია, ლია ტალახაძე, ელიკო ახობაძე, თამარ გეგია, ეთერ გაგუა, თამარ ფოფხაძე.

მაგრამ არიან ის გოგონები, რომლებიც კარგად არიან, მინდა დიდხანს და ჯანმრთელად იყვნენ. ვეფერები მათ დიდი სიყვარულით, მარინა მიქელაძეს, მადონა ნიკოლეიშვილს, მანანა კოხრეიძეს, მანანა სირბილაძეს, ნინო ზარგინავას.

მინდა დიდი პატივისცემით მოვიგონო ის კარგი ადამიანები, პედაგოგები: ბატონები გივი კალაძე, ჯონი ვაშაკიძე, როლანდ გარნოვსკი, ნანი შენგელია და ჩვენი გუნდის დაუვიწყარი მწვრთნელი ჯემალ ნიკურაძე, ადამიანები, რომლებიც ოდესღაც დააბიჯებდნენ ჩვენს ქალაქში და დიდ სპორტში იყვნენ ჩაბმული.

ვისურვებდი რომ ისევ გამოჩნდნენ გოგო-ბიჭები, რომლებიც კიდევ ასახელებენ ჩვენს პატარა ქალაქს.

დიდი სიყვარულით ზაირა ჯოჯუა

ბებიას ხსოვნას

მე მენატრება ჩემი ბებია, მისი თბილი და ტკბილი სიტყვები.
ამბობდა, ჩემ ფასს მაშინ გაიგებთ, როცა ამ ქვეყნად აღარ ვიქნები.
მახსოვს მე მისი მზერა, ღიმილი და მისი მახსოვს ფერება, ლოცვა,
მინდა კვლავ გულში ჩამიკრას ისევ, ვიცი რომ ის დრო არასდროს მოვა.
მახსოვს მე მისი ხელით დამცხვარი ბუხრის კეცებზე ცხელი მჭადები
როცა მე მასზე ვფიქრობ ეული, ცრემლით მევსება უმალ თვალები.
მახსოვს მე მისი ამაგი ბევრი და მახსოვს მისი ბევრი სიკეთე.
ალბათ, არასდროს მომეფერება და იავნანას აღარ მიმღერებს.
მინდა რომ იყოს ისევ ცოცხალი და ბაჯბაჯობით ადგამდეს ფეხებს,
მინდა მას ისევ ვეხუტებოდე, ვეფერებოდე მის დამჭკნარ ხელებს.
ვიცი, ეს დრო რომ არ დაბრუნდება, ვერ დამიძახებს აწი ბებია!
მე მის საფლავთან სანთელს დავანთებ, სურათს ვაკოცებ მე მის, სევდიანს...

დედა...

შენ არასოდეს არ დაბერდები, შენთან ვერ მოვა ვერასდროს სევდა,
შენ ერთადერთო, მუდამ ლამაზო, შენ შემოგევლე მშობელო დედა,
დიდხანს მეყოლე მე სანუგეშოდ და შენი ლოცვა მიგზავნე ყველგან,
სანამ შენ მყავხარ, ვერვინ წამაქცევს, მე შენ ძალიან მიყვარხარ დედა.
მიყვარს მე შენი თბილი ხელები, ჩემთვის შენ დილის მნათობი მზე ხარ,
მე ვერასოდეს ვერ შეგელევი, სულ მეყვარები მშობელო დედა.
შენი ჭადარა მიყვარს უზომოდ, გული მითბება როცა შენ გხედავ,
ათასი წელი მინდა იცოცხლო, ჩემო იმედო, მშობელო დედა.
მიყვარს მე შენი ხელის ნაოჭი, ამაგით სავსე მე შენი მზერაც.
შენ არ ბერდები ჩემო ლამაზო, შენ შემოგევლე მშობელო დედა.
გფარავდეს მუდამ შენ დედა ღვთისა, დაგლოცოს მინდა მაღალმა ღმერთმა,
სანამ ჩემთან ხარ, მტკიცედ ვიდგები,
მე შენ მიყვარხარ მშობელო დედა...

მალხაზ უღრელიძე

ფეხბურთი

პირველად!

6 თებერვალს კამერუნში დასრულდა აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც ფინალურ მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სენეგალისა და ეგვიპტის ეროვნული გუნდები.

ძირითადი და დამატებითი დრო გატანილი გოლების გარეშე აღინიშნა. გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნა თერთმეტმეტრიანების სერია, რომელიც უკეთ შეასრულეს სენეგანელმა ფეხბურთელებმა და ისტორიაში პირველად დაეუფლნენ თასს.

ზედიზედ მეორედ!

ევროპის ჩემპიონი ფუტსალში ზედიზედ მეორედ გახდა პორტუგალიის ეროვნული ნაკრები, რომელმაც 6 თებერვალს ნიდერლანდებში ფინალურ მატჩში ანგარიშით 4 : 2 დაამარცხა რუსეთის ეროვნული ნაკრები და ზედიზედ მეორედ დაისაკუთრა ევროპის კონტინენტის ჩემპიონის წოდება.

აღნიშნულ ჩემპიონატში თავის ისტორიაში პირველად მონაწილეობდა საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები (მთავარი მწვრთნელი ავთანდილ ასათიანი), რომელიც მეოთხედფინალში დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამარცხდა რუსეთის საკმაოდ ძლიერ ნაკრებთან.

იორამ ნიკოლეიშვილი

"მათქმევინე მადლობა"

– ქალბატონო, თქვენ ჟურნალისტი ხომ ბრძანდებით? – მეკითხება ჭავჭავაძის ქუჩის 5 ნომერში მდებარე "ავერსში" შესულს შუახანს გადაცილებული მამაკაცი.

– დიახ, ბატონო. გნებავდათ რამე? – შეკითხვითვე მივმართე ცნობისმოყვარე მომხმარებელს.

– მათქმევინე, მერე, მადლობა ამ ღვთისნიერი ხალხისთვის, განსაკუთრებით გოგონაზე, რომელმაც რამდენჯერმე დამამახსოვრა თავი გულისხმიერებით და საუკეთესო მომსახურებით. თეა ჰქვია სახელად. გვარი არ ვიცი. ვიკითხოთ ერთად.

– სიამოვნებით. არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. პირიქით, ამ შემთხვევაში თქვენ ჩემს სათქმელსაც გამოხატავთ. უფრო სწორად, ბევრი სამტრედიელი მომხმარებლის სურვილი გააჟღერეთ. – გავათამამე უცნობი მამაკაცი ჩემი აბსოლუტური მხარდაჭერით.

ახალგაზრდა ფარმაცევტი 34 წლის თეა ხაბულიანი აღმოჩნდა, 2 შვილის დედა. მადლიერი მომხმარებელი კი – 53 წლის ლავრენტ შოვნაძე.

იქვე გავარკვიე, რომ ბატონი ლავრენტი დიდ ჯიხაიშში ცხოვრობს და აწარმოებს სოფლის მეურნეობას. მისი საუბრიდან გამომდინარე საშუალოზე ძლიერი ფერმერი სჩანს და მზრუნველი ოჯახის მამა, რომელსაც ახლობელი ადამიანების ჯანმრთელობის გასაძლიერებლად ხშირად, კვირაში ორჯერ მაინც უწევს აფთიაქში შესვლა. ამდენი ობიექტიდან კი არჩევანი ჭავჭავაძის ქუჩის 5 ნომერში მდებარე "ავერსის" აფთიაქზე აქვს შეჩერებული. სხვაგან მისვლის სურვილიც არ მიჩნდებაო, რადგან აქ ძალიან კვალიფიციური და გულისხმიერი ფარმაცევტები მემსახურებიანო.

დავუბრუნდეთ თეა ხაბულიანს. ახალგაზრდა ქალბატონი პროფესიით ფარმაცევტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. თავდაპირველად თბილისში მუშაობდა, მერე ქუთაისში. დაოჯახების შემდეგ ოთხი წელია სამტრედიის №2 "ავერსში" მუშაობს და ამ პერიოდში კოლეგებისა და ასეულობით მომხმარებლის მოწონება და პატივისცემა დაიმსახურა.

ჰყავს მეუღლე სოსო თევზაძე და 2 შვილი, 4 და 2 წლის ქალ-ვაჟი.

მომხმარებლის მხრიდან გამოხატულ მადლიერებას ყოველთვის მორიდებული კმაყოფილებით ისმენს და ამბობს, რომ მისი მხრიდან ამგვარი დამოკიდებულება ჩვეულებრივი ამბავია, რითაც ყველა ფარმაცევტი უნდა იყოს აღჭურვილი.

სამტრედიაში №2 "ავერსის" აფთიაქი 2009 წლიდან ფუნქციონირებს, რომელსაც დაარსების დღიდანვე ნიჭიერი, გულისხმიერი, პროფესიით მაღალკვალიფიციური ფარმაცევტი, ნატალია თვალავაძე ხელმძღვანელობს. 13 წელია, აფთიაქი დღითიდღე ვითარდება და მადლიერი მომხმარებლის რაოდენობა იზრდება.

№ 2 "ავერსის" მენეჯერი, ნატალია თვალავაძის შეფასებით, მათთან შესული მომხმარებელი იგივე ოჯახის წევრია, რომელთა მიმართ ყოველთვის განსაკუთრებულ მზრუნველობას და სიყვარულს გამოხატავენ: "თეა ხაბულიანი, მართლაც გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით, გულისხმიერებით, კარგი ოჯახიშვილობით და, რაც მთავარია, სააფთიაქო სისტემისთვის საუკეთესო თანამშრომელია".

ნინო ნანიტაშვილი

ბატონი მერაბ სტურუას ხსოვნას

“წუთისოფლის შვილები ვართ,ზეციურ სამყაროში რა მიგვაქვს?”

მერაბ “მიხაილოვიჩ”, ასე მივმართავდით ადრე. საოცრად შემაძრწუნა ცნობამ მისი გარდაცვალების შესახებ. ამ განცხადების გადმოცემა არც ისე ადვილი ყოფილა.

ბატონ მერაბთან ბოლო შეხვედრა ორიოდე თვის წინ ჩემი ეზოს ჭიშკართან შედგა. შინ არ შემოვიდა, მადლობის სათქმელად მოვედიო, მითხრა. ჩემი მოკრძალებული ლექსების კრებული წაუკითხავს და შთაბეჭდილებებს მიზიარებდა, ძალიან დამაფიქრეო, ერთი სიტყვით, ჩემთვის დაუვიწყარი, გულწრფელი საუბარი შედგა.

მერაბის ბავშვობამ ხომ ჩვენს თვალწინ გაიარა. მახსოვს, ახლადგახსნილ შინმოუსვლელი ჯარისკაცის დედის ძეგლთან ახალგაზრდობის მანიფესტაცია ჩავატარეთ, რომელშიც მისი უფროსი ძმა დიდიმიც მონაწილეობდა. უმცროსმა ძმამ მერაბმა ცნობისმოყვარეობას ვერ გაუძლო და “ნახალოვკის” უბნიდან ველოსიპედით გამოიპარა. ეს არ იყო ადვილი. მახსენდება მისი გაბრწყინებული თვალები, ნამდვილი მზეჭაბუკი იყო. გავიდა წლები. 1978 წელს მან ამიეკრავკასიის რკინიგზის სამტრედიის მე-13 საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა, ასევე თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შესაბამისად მიიღო ინჟინერ-მშენებლისა და ეკონომისტის კვალიფიკაცია. გაიარა საინტერესო შრომითი გზა და 1986 წლის ნოემბერში მერაბ სტურუა რაიონის ახალგაზრდობის ლიდერად მოგვევლინა. უაღრესად რთულ წლებში იმუშავა ჩვენთან, პარტიულა აპარატში.

ღირსეული მშობლები მიხეილ სტურუა და გულიკო მებუკე, ძმები დიდიმი და პაატა, სათანადო განათლება, ერუდიცია, მაღალი შინაგანი კულტურა, ერთგული მეგობრობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის არაჩვეულებრივი უნარი ბუნებრივია თავად გამოარჩევს ადამიანს.

მახსოვს, 2002 წელს, როგორც გამგებელს, მოქალაქეთა მიღება ჰქონდა, რომელსაც დადგენილი წესის თანახმად სამსახურის ხელმძღვანელებიც ვესწრებოდით. მიღებაზე, სამოქალაქო ომით დაზარალებული მოქალაქეები შემოვიდნენ. ბატონმა მერაბმა ისინი ჩვეული კულტურითა და გულწრფელი პათოსით მიიღო, განუმარტა პრობლემათა გადაჭრის მიზეზები და ამ საკითხის გადაწყვეტის გზებზე მიუთითა. ერთ-ერთმა მოქალაქემ ნერვები მაინც ვერ დაიოკა და პირადპირ შეტევაზე გადავიდა. ბატონმა მერაბმა შეინარჩუნა წონასწორობა და განმცხადებლები დამაჯერებელი პასუხით მშვიდად, იმედიანად გაისტუმრა. თუმცა შემდეგ თავი ცუდად იგრძნო. აქ აშკარად ჩანდა მისი პიროვნული სახე. ერთი კვირის წინ, ჩემს უახლოეს მეგობრს, პოეტ ზოია ვაშაკიძეს ტელეფონით ვესაუბრე. ქალბატონმა ზოიამ, დიდი პატივით მოიკითხა ბატონი მერაბი და მთხოვა ერთხელ კიდევ მადლობა გადამეცა იმ ყურადღებისთვის, რომელიც მან პოეტის საიუბილეო დღეებში გამოიჩინა. ასეთია ადამიანის ბუნება. გაწეული სიკეთე თავს არ გავიწყებს. ასეა ამ შემთხვევაშიც. როგორც სოკრატე ბრძანებს: “სიკეთე არაფერია, თუ არა სიამოვნება”.

2000 წელს, რვა წლის უმუშევრობის შემდეგ, ბატონმა მერაბმა, როგორც რაიონის გამგებელმა, სოციალური დახმარების სამსახურის უფროსის თანამდებობა შემომთავაზა, სადაც 6 წელი ვიმუშავე. სხვათა შორის, “სამტრედიის მაცნეს” ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში “აქ სიკეთემ დაიდო ბინა” დეტალურად აღვწერე ამის თაობაზე. მასთან შეხვედრის დროს კი ავდნიშნე და ვინ იცის მერამდენედ, დიდი მადლიერება გამოვთქვი. ეს საბედისწერო შეხვედრა გამოდგა. რამდენი რამ გავიხსენეთ...

ჩვენო მერაბ, შენმა საფიცარმა სამტრედიამ გულით დაგიტირა. ღირსეულ უბანში გაიზარდე, ანზორ გრიგოლიას, ოთარ შანიძის, ბიჭიკო და თამაზ დუნდუების, ბორის ცაგურიას, თენგიზ გულდედავას, ბორის ნიკურაძის ოჯახები, თქვენი სიტყვამოსწრებული დიალოგები, სახალისო პაექრობები, ანეკდოტებად ქცეული თემები, ჩვენამდეც აღწევდა.

“ნახალოვკამ”, რკინიგზელებით დასახლებულმა და ორი ისტორიული სტატუსის მქონე სკოლების მოსწავლეთა სისხლსავსე ცხოვრებამ თავისებური ხედვა შემოიტანა თქვენს ცნობიერებაში. საბედნიეროდ, ამის მოწმე და მხილველი ვარ.

ბატონი ოტია იოსელიანის სიტყვები გამახსენდა: “იყავი ის, ვინც ხარ”. თქვენ სწორედ ასეთი იყავით. პირველ რიგში, ღირსეული ოჯახის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი, შვილი, მეუღლე, მამა, მეგობარი, ძირძველი სამტრედიელი, შენი ქვეყნის პატრიოტი, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი.

ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ თავისი შედეგი გამოიღო.

გმადლობთ, ადამიანური თანადგომისთვის, გაწეული სიკეთისთვის, დასანანია, რომ ძმები დიდიმი, პაატა და მერაბ სტურუები ასე ნაადრევად განერიდნენ საწუთროს. მჯერა, ბატონი მერაბის ერთგული მეუღლე ნატო, შვილები დიდიმი და გიორგი ღირსეულად გააგრძელებენ ოჯახის ტრადიციებს და უკვდავყოფენ კაცური კაცის, თავდადებული მამის სახელს.

უფალმა გაანათლოს, ბატონი მერაბ სტურუას სული!

ნათელა გელეიშვილი

მერაბ სტურუა წავიდა

შალვა ნანობაშვილი, აკაკი კოპალეიშვილი, თამაზ ფოფხაძე, მერაბ შენგელია, ავთო ალფაიძე... ეს ის ადამიანები იყვნენ ჩემი თაობის ყმაწვილკაცობისას სამტრედიის ახალგაზრდების ხელმძღვანელ შტაბში რომ იღვწოდნენ და ირგვლივ სიკეთეს სთესდნენ. თითოეულმა ლამაზ მოგონებებთან ერთად ჩვენი სულის ნაწილიც თან წაიღო.

მერაბ სტურუას გარდაცვალებამ ხომ უდიდესი ტრავმა მოგვაყენა თითოეულს.

ახალგაზრდობის ჩინებულ ლიდერს, კონტროლის პალატაში მუშაობის დროსაც უქებდნენ კაცობას და რაიონის თავკაცად მუშაობის წლებშიც დატოვა საკუთარი ხელწერა მშობლიური სამტრედიის ისტორიაში.

განსაკუთრებული იყო “სამტრედიის მაცნეს” რედაქციისა და ზოგადად, გაზეთისთვის მისი პირველკაცობის წლები.

შარშან 60-ის რომ გახდა ყველაფერი ერთ წერილად გავაკეთე სათაურით **“შენ მაინც შეძელ კაცობის დისერტაციის დაცვა”** დამირეკა სამსახურში, ეს რა მიქნი, რა სიხარული მომანიჭეო. ბოლო წლებში სანთლით ხელში ტაძარშიც ვხვდებოდით ერთმანეთს, საოცრად უბრალო იყო, თავაზიანი, სითბო, პოზიტივი გამოკრთოდა მისი მომღიმარი სახიდან.

19 თებერვალს თმაჭაღარა თბილისმა ჩაიკრა გულში სამტრედიელი კაცური კაცი, ნათელში იყოს.

არ დაგივიწყებთ მერაბ!

ლევან გაბეჩავა

საზოგადოება “სამტრედიელი” მწუხარებას გამოთქვამს ღირსეული სამტრედიელის, რაიონის ყოფილი თავკაცის

მერაბ (ბარნაბა) მიხეილის ძე სტურუას

გარდაცვალების გამო.

ირა, ჯონდი, ლევან გაბეჩავები თანაუგრძნობენ ქეთი და ზურა კიკაჩეიშვილებს მამამთილისა და მამის, მარინა ხუჭუას მზახალის

ვარლამ (ვალიკო) კიკაჩეიშვილის

გარდაცვალების გამო.

ვიოლა, გურამ, თემურ ახობაძეები მწუხარებით იუწყებიან

რევაზ (რეზო) კანდელაკის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

“სამტრედიის მაცნეს” რედაქცია მწუხარებას გამოხატავს ღვაწლმოსილი პიროვნების, ომისა და შრომის ვეტერანის

რევაზ კანდელაკის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ფეხბურთის გულშემატკივარი იორამ ნიკოლეიშვილი დიდ გულისტკივილს გამოთქვამს, ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის, 1964 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, ბრწყინვალე პიროვნების, ყოფილი საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის

ილია დათუნაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

რევაზ კანდელაკის ხსოვნას!

ოთხმოცს კარგა ხნის გადაცილებული იყო ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარედ რომ აირჩიეს. არნახული ენერგია გამოიჩინა, ძალისხმევა არ დაზოგა, ბრწყინვალედ გაართვა თავი ერთობ პასუხსაგებ მოვალეობას.

60 წელზე მეტი ხნის მუშაობის სტაჟი ჰქონდა (სამამულო), მეორე მსოფლიო ომის აქტიურ მონაწილეს, ბოლომდე საზოგადოების, ოჯახის კეთილდღეობისთვის დაიხარჯა.

საყვარელი მეუღლისა და შვილების გარდაცვალების მიუხედავად, სულიერი სიმტკიცე შეინარჩუნა, სიკეთეს სთესდა, სითბოს აფრქვევდა ირგვლივ. საოცარი სიახლოვე აკავშირებდა რედაქციის თანამშრომლებთან ჩვენი გაზეთის დიდ მეგობარს.

ვალმოხდილი წავიდა 98 წლის ასაკში, წავიდა და კაცური კაცის სახელთან ერთად, ჩვენი მწუხარებაც თან გაიყოლა.

ნათელში გამყოფოთ უფალმა ჩემო უფროსო მეგობარო.

ლევან გაბეჩავა

ქალბატონ აზა კრავეიშვილის ხსოვნას

გულის სითბო, სიყვარული,

გვაჩუქე და განერიდე ამ სოფელს,

ტკივილები ვიცი კვლავაც არ გასვენებს,

შენზე ფიქრი მე ბევრ რამეს მახსენებს.

მინდა გითხრა: ვერაფერი გავაკეთე

შენთვის ისე, ცხოვრებაში გულიანად გეცინა,

მადლიან გზას მიჰყვებოდი რუდუნებით,

ო, რა სწრაფად გაგვეცალე,

გული ძლიერ გვეტკინა,

იმ დღეს თითქოს გეძინა...

მოუსვენარს, მკლავმოუდლელს,

იქნებ რამე გეწყინა...

შენს მამულში ცრემლებს

ღვარად ეწვიმა, ნეტა ეს არ მეხილა.

P.S.

გამორჩეულ დიასახლისს

დაგადგამდი გვირგვინს,

სიცოცხლეში ვერ მოვასწარ,

დღეს ამის თქმა მიმძიმს...

ნათელა გელეიშვილი

“სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძნობს რუსუდან მუქერიას მამის

იური მუქერიას

გარდაცვალების გამო.

ქეთევან ჭელიძე და ვალერი სანაძე მწუხარებას გამოთქვამენ

იური მუქერიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ რუსუდან მუქერიას დიდ ოჯახს.

ნინო ნანიტაშვილი და ბადრი ვაშაკიძე თანაუგრძნობენ რუსუდან მუქერიას და მის დიდ ოჯახს ბატონი

იური მუქერიას

გარდაცვალების გამო.

თეა ბაბუნაშვილი და ამირან პაპავა თანაუგრძნობენ რუსუდან მუქერიას და მუქერიების ოჯახს

იური მუქერიას

გარდაცვალების გამო.

საოცარი ფაქტები ბავშვებზე – რაც აქამდე არ იცოდით

2 წლის ბავშვის ხმა უფრო მაღალია, ვიდრე 200 მოზრდილის სავსე რესტორანში.

მამები, როგორც წესი, თვალის შეევლებით ადვილად არკვევენ ბავშვის სიმაღლეს, დედები – წონას.

საშუალო, 4 წლის ბავშვი დღეში 437 შეკითხვას სვამს.

ტელევიზორის ყურება ბუნებრივი ტკივილგამაყუჩებელიც კი შეიძლება იყოს ბავშვისთვის.

ძველ საბერძნეთში მდიდარი ოჯახების შვილებს დაბადებისთანავე ზეითუნის ზეთში აბანავებენ. მიაჩნდათ, რომ ამით ტანზე თმის ამოსვლისგან იცავდნენ.

დიდი ფარაონი რამზეს II 160-ზე მეტი ბავშვის მამა იყო.

ინგლისში მე-17 საუკუნეში ბიჭებიც და გოგონებიც 7 წლამდე კაბებს ატარებდნენ.

ექვს წლამდე ბავშვებს ყველაზე ხშირად ხელისგულებისა და თითების ტრავმები და დამწვრობები აქვთ.

ბავშვები იმ ინტონაციით ყვირიან, რომელიც მათი დედის ენისთვის არის დამახასიათებელი, რაც ჯერ კიდევ მუცელში ესმით. ასე დაასკვნეს მეცნიერებმა, მაგალითად, ფრანგი ქალების შვილები ყველა წამოყვირებისას უმატებენ ხმას, გერმანელების – უკლებენ, სწორედ ასეთი ინტონაციური გადასვლებია შესაბამის ენებში.

2009 წელს შოტლანდიელ ფსიქოლოგთა ჯგუფმა ექსპერიმენტი ჩაატარა და ედინბურგის ქუჩებში 240 საფულე "დაკარგა", მფლობელის საკონტაქტო მონაცემებით. სულ საფულეების 42 პროცენტი დაბრუნდა, თუმცა დაბრუნების პროცენტი ვარირებდა იმის მიხედვით, თუ რა ფოტო იყო შიგნით. იმ საფულეების 88% დააბრუნეს, რომლებშიც ბავშვის ფოტო იყო, 53% – შინაური ცხოველის ფოტო, 48% – ოჯახური ფოტო, 28% – ხანდაზმული წყვილი და მხოლოდ 15% დააბრუნეს იმ საფულეებისა, რომელებშიც საერთოდ არ იყო ფოტო.

მოლოტოვის კოქტეილის უპირატესობა

RemHouse

ჩვენი პროფესიონალი ხელოსნების საშუალებით, შეგვიძლია შემოგთავაზოთ ხარისხიანი სერვისი.

შეგიძლიათ დაგეგმოთ თქვენთვის სასურველი რემონტი, თქვენთვის სასურველ დროს!

შესაძლებელია კონსულტაცია როგორც ადგილზე, ისე ონლაინ.

ჩვენი მისამართია: ქალაქი სამტრედია, რუსთაველის ქუჩა №23.

ჩვენ გთავაზობთ!

სადემონტაჟო სამუშაოები.
შენება: აგურით, ბლოკით.
საიზოლაციო სამუშაოები.
ელექტროგაყვანილობა.
წყალმომარაგება.
ვენტილაცია.
გათბობა და გაგრილება.
ლესვა:გაჯით,ქვიშა,რემენტით, როტბანდით.
მოჟიმული იატაკი:თვითსწორებადი, სტანდარტული.
სამღებაო სამუშაოები:დაშპაკლვა, შეღებვა, შპაღლერის გაკვრა.
კაფელ–მეტლახის სამუშაოები.
მეტლახის,მდფ–ის, პლასტმასისა და ხის პლინტუსის გაკვრა.
ლამინატისა და პარკეტის მონტაჟი.
რიკლოვკა.
საბრიზგი სამუშაოები.
თაბაშირ–მუყაოს ფილების სამონტაჟო

სამუშაოები: ჭერები, ტიხრები.
ფრანგული გასაჯიმი ჭერის მონტაჟი(ბარისოლი).
ამსტრონგის ჭერის მონტაჟი.
მეტალის, მდფ–ისა და ხის კარების მონტაჟი.
მეტალის ნაკეთობების შეღებვა.
ვიტრაჟების მონყობა.
მეტალო–პლასტმასის სამონტაჟო სამუშაოები.
სამშენებლო ნაგვის გატანა.
დალაგება, დასუფთავება.

tel: 592-02-03-82
597-10-73-82



მიხეილ ქანთარიას ვულოცავთ დაბადების დღეს!

ვულოცავთ!

ეკა სანიკიძეს!

მშვიდი ბუნება და ქალური კდემამოსილება მეტ ღირსებას გმატებს, ისედაც ღირსეულ, ერთგულ მეუღლეს, დედას, მეგობარს, კოლეგას.

დაბადების დღესა და გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს გილოცავთ, ჩვენო ეკა. უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეს საყვარელ ოჯახთან ერთად.

"სამტრედიის მაცნე"

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან ბოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მაკა პაპავა